სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 24 თებერვალი 1999 №32 (805) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

იუწყება, რომ 2 მარტიდან გაზეთის ფასი 1 ლარამდე გაიზრდება და მკითხველისთვის ერთგვარი კომპენსაციის მიზნით 16-გვერდიანი იქნება

3

დავით ჭიჭვეიშვილი ბათუმში დაბრუნდა

ისრაელიდან მოსკოვში ჩასულს „სპარტაკის“ მესვეურებმა თბილისის ბილეთი დაახვედრეს

6

რონალდო ინტერს დააკლდება

მილანელთა პრეზიდენტის მასიმო მორატის თქმით, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველი მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ინტერს“ შორის რონალდოს გარეშე ჩაივლის

8

გრეცკი მიდის



დიადი უეინი მესამედ ატირდა

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

საქართველო – ლატვია

24 თებერვალი. თბილისი. სპორტის სასახლე. 18 საათი

მსაჯები: რომან რიჟიკი (უკრაინა), იური ლებედევი (რუსეთი)

ლატვიელები არ გვიჩივლებენ

ქუჩაში ხომ არ გვეთამაშა, იქ უფრო თბილაო...



ნაცვლიშვილის არყოფნაში საქართველოს ნაკრებს რეზო ჩხეიძე უკაპიტნებს

ბაჯრი კეთილაძის ფოტოები

ლატვიელები დარბაზის სიცივემ კი შეაკრთო, მაგრამ ზურგი არ გვაქციეს

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ქართველი კალათბურთელები დღეს ლატვიას დაუპირისპირდებიან. გუშინ კი ბოლოსწინა წვრთნა გამართა საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც წინა დღის ვარჯიშისგან განსხვავებით, კიდევ სამი ლეგიონერი შეემატა. ადრე ჩამოსულ ირაკლი მაისურაძესა და დავით ბერძენიშვილს გუშინდლიდან ვლადიმერ ბოისა, რევაზ ჩხეიძე და ლევან ქარაბაკიც შეურთდნენ, ამათ დავუმატოთ ეროვნულ პირველობაზე მოთამაშე შვიდი კალათბურთელი და... მწვრთნელებსაც სწორედ ამ თორმეტეულიდან უნდა შეერჩიათ ის ათი მოთამაშე, რომლებიც დღეს ლატვიის ნაკრებს შეებმებიან.

ამ ათეულს მხოლოდ ვარჯიშის ბოლოს გაგიმხელთო, გვითხრა გუნდის მეორე მწვრთნელმა პაატა გურასპაულმა, რომელიც გუშინ მთავარ მწვრთნელობასაც ითავსებდა, რადგან ლევან მოსეშვილი ისევ ფეხის ტკივილს შეუწუხებია და გუშინ ვარჯიშზე საერთოდ არ გამოჩენილა.

თავად წვრთნა ხალისიანი გამოუვიდათ. მწვრთნელებმა კალათბურთელები გვარიანად დატვირთეს, რაც ერთხანს უცნარადაც მოგვეჩვენა, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, საღამოს ვარჯიში აღარ უხერხდებოდათ და მხოლოდ დილის მზადებით უნდა გასულიყვნენ ფონს. ყოველივე გურასპაულმა იმითაც ახსნა, ნამგზავრ ლეგიონერებს დასვენება სჭირდებათ და მათი გადაღლისგან თავს ვიკავებთო. ხოლო როცა ჯერაც ჩამოუსვლელ ნაკრების წევრებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, გურასპაულმა ასეთი პასუხი გაგვცა: „იმედი გვქონდა, რომ ვაკო ბეჟანიშვილი ჩამოვიდოდა. რუსულ „ურალ-გრეიტს“ ორი ფაქსიც გავუგზავნეთ, მაგრამ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, ეგ ბიჭი ახლა ჩვენც ძალიან გვჭირდება და ვერ დაგითმობთო. ვატო ნაცვლიშვილი, როგორც იცით, ესპანეთშია, მის შესახებ ჩვენც არაფერი ვიცით, ხოლო ირაკლი ვაშაკიძე, მგონი, ისრაელში უნდა იყოს, თუმცა მის გზა-კვალს დღემდე ვერ მივაგენით“.

მართალია, ნაკრები სრულფასოვანი შემადგენლობით მაინც ვერ შეიკრიბა, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლეგიონერების ჩამოყვანა ერთხანს საერთოდაც ვერ ხერხდებოდა, ამ ხუთი კალათბურთელის ჩამოსვლაც უკვე საქმეა, თუნდაც იმიტომ, რომ გულშემატკივარს გამარჯვების პატარა იმედი ჩაესახა.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უცხოელი აგენტები შეეჩვივნენ

თუმცა ვალერი ჩოლარია ფხიზლობს

როჟე ლემერს თბილისში ვიხილავთ...

20 მარტს ჩვენს ეროვნულ სტადიონს მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელი ეწვევა. თბილისში საფრანგეთის ნაკრების თავკაცი როჟე ლემერი ჩამოვა, რათა ფრანგთა მეტოქე-თანაჯგუფელი და „ჩვენი ამხანაგი“ უკრაინა დაზვეროს. აგვისტოში კი, შესაძლოა, თავად ფაუსტინო ასპრილია გვესტუმროს კოლუმბიის ნაკრებთან ერთად. ეს იმ შემთხვევაში, თუ ფიფას კიდევ ერთმა აგენტმა ისევ არ მოგვატყუა.

იხილეთ მეორე გვერდი

სარბიელის არქივიდან

ფაუსტინო ასპრილიასი კი რა მოგახსენოთ...

ვნახავთ ასპრილიას თბილისში?

ფედერაციას კიდევ ერთი აგენტი შეუჩნდა

ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ეროვნული ნაკრები ისევ სპარინგ-პარტნიორთა ძებნაშია

ჩამოვა თბილისში ფაუსტინო ასპრილია? შესაძლებელია. ამისთვის მინიმუმ ორი პირობის შესრულებაა საჭირო. პირველი — ამა წლის ზაფხულში განსვენებული ანდრეს ესკობარის ჯერაც ცოცხალი თანამემამულე თავისი ქვეყნის ნაკრებში უნდა ირიცხებოდეს და მეორე, უმთავრესი — მავანმა იტალიელმა აგენტმა კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოს და თავისი სიტყვა პირნათლად შეასრულოს.

მოდით, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მერაბ ჟორდანიას და დავით კვინიკაძის სახელზე ფაქსი მივიდა — სფფ-ს პრეზიდენტს... და გენერალურ მდივანს... და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, დავით კვინიკაძეს ამჯერად არა აქვს პატივი, ქართულ ფეხბურთს ემსახურებოდეს, მაგრამ ბევრს ჯერაც არ გაუგია ქართული ფეხბურთის მმართველ წრეებში ცვლილებების შესახებ. არადა, ყოველივეს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თუ რატომ, თავად განსაჯეთ.

სფფ-ში გაგზავნილი ფაქსის ავტორი მავანი იტალიელი საფეხბურთო აგენტია. ჰოდა, იგი (რომელმაც არ იცის, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარიაა) ჩვენებს ხელსაყრელ წინადადებას სთავაზობს — გაზაფხულზე, ანაც თუ გნებავთ, ზაფხულში საკონტროლო შეხვედრებს მოგიწყობთ კოლუმბიის და კოსტა რიკის ნაკრებებთანო. პატივცემულ უცხოელს მატჩების გამართვის ადგილსა და სავარაუდო ვადებზეც მოუწერია. კოსტარიკელები თურმე მზად არიან, მაისში აშშ-ში გაგვეჯიბრონ (ცოტა უცნაურია, არა? ეს დაახლოებით იგივეა, საქართველოს ნაკრები ვლადიკავკაზში რომ დაუხვდეს აზერბაიჯანელებს), ისევე, როგორც კოლუმბიელები. და კიდევ უმთავრესი — საგულისხმოა, რომ სფფ-სთან პარტნიორობის მოსურნე იტალიელს, როგორც ჩანს, მაისში საქართველოს ეროვნული ნაკრების სრული კალენდარიც გაუთვალისწინებია (ორმოცი დღის შუალედში ქართველებს სამი ოფიციალური შეხვედრა უწევთ) და ალტერნატიული წინადადებაც შემოუთავაზებია. თუ სტუმრად თამაშს ვერ მოახერხებთ, სხვა რამეს მოვიფიქრებო. კოსტარიკელებს შინიდან ფეხს ვერ გავადგმევინებ, კოლუმბიის ნაკრების თბილისში ჩამოსვლა უფრო რეალურად ჩანს, სამხრეთელებს აგვისტოში ევროპული ტურნე აქვთ დაგეგმილი და თქვენი თანხმობის შემთხვევაში ასპრილიას და კომპანიას იმ დროისთვის თბილისში გაახლებთო.

სფფ-ში ყოველივეს გარკვეულწილად გაგებით მოეკიდნენ, მაგრამ გენერალურ მდივანს, სხვებისგან განსხვავებით, ამ ფაქტისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია და იტალიელის ფაქსი ერთგვარი სიფრთხილით მიიღო. არც გაემტყუნება ვალერი ჩოლარიას — უცხოელი საფეხბურთო აგენტის „მონდომება“ ხომ ერთხელ მწარედ ვიგემეთ. ვილი კონრადის ყბადაღებულმა ტაილანდმა სფფ-ს მესვეურთ გარკვეული გამოცდილება შესძინა.

აგვისტოში კოლუმბიელებს მართლაც აქვთ დაგეგმილი ევროპული ტურნე და შესაძლოა, საქართველოს ნაკრებთან თამაშიც ისურვონ, მაგრამ ისიც ადვილი შესაძლებელია (ალბათ, უფრო რეალური), ფეხბურთში მოტრიალე იტალიელი „ჯეიმს ბონდი“ უკეთესი პერსპექტივით მოიხიბლოს და ბოლო მომენტში კოლუმბიელთათვის ქართველების ნაცვლად „ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრები“ შეარჩიოს.

მოკლედ, ტაილანდზე უარესი მოგვივა, თუ ჩავთვლით, რომ აგვისტოში საკონტროლო შეხვედრა დაბეჭებული გვაქვს. ვალერი ჩოლარიას მოზომილ და თავდაჭერილ კომენტარს გაგაცნობთ ამასთან დაკავშირებით: „თავისთავად კარგი წინადადებაა — ბრძანა ბატონმა გენერალურმა მდივანმა — მაგრამ რამდენად რეალურია, ამას მომავალი გვიჩვენებს. ნებისმიერი აგენტი მეტი შემოსავლის ძიებაშია, ის თავის საქმეს აკეთებს. ჩვენც ყოველივეს, რა თქმა უნდა, სათანადოდ მოვეკიდებით. თუმცა, ამ საქმეს მოგვარებულად მაშინ ჩავთვლი, როდესაც საქართველოს და კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციები მატჩის გამართვის თაობაზე ოფიციალურად შეთანხმდებიან, თორემ დარწმუნებული ვარ, იმავე აგენტმა კოლუმბიასთან თამაშის ჩატარების წინადადებით ჩვენს გარდა ოთხ-ხუთ ქვეყანასაც მიმართა. ასე რომ, მარტო მის იმედზე ვერ ვიქნებით.“

გეთანხმებით, ბატონო გენერალურო მდივანო, ვილი კონრადის თანამოსაქმეთა ამბიციურობის იმედად ვერ იქნება საკონტროლოდ ჯერაც შესათამაშებელი ჩვენი ეროვნული ნაკრები, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ფედერაციაში დღესაც ამბობენ, რა ვქნათ, ყველა რიგიან გუნდს ამხანაგური თამაშების გრაფიკი ორი-სამი წლით ადრე აქვს დაგეგმილიო...

მოკლედ, ასეა, ეროვნული ნაკრები ორ უახლოეს თამაშს უკრაინის და სლოვენიის ნაკრებებთან კოლუმბიელებთან აგვისტოში გაჯიბრების პერსპექტივით ხვდება (სამხრეთამერიკელებთან მატჩის გამართვის თაობაზე თანხმობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს დღეებში ოფიციალურად დაადასტურებს).

ძნელი სათქმელია, ჩამოვა თუ არა თბილისში ასპრილია. მის ლოდინს იქნებ ჯობდეს, მატჩების ორი-სამი წლით ადრე დაგეგმვას ამთავითვე ჩავუყაროთ საფუძველი, თორემ ჩვენში უკვე სიმწარენარევი ხუმრობით ამბობენ, შესარჩევი ციკლები ჩვენისთანებისთვის არის მოგონილი, სტადიონზე მისულნი საქართველოს ჰიმნს მაინც ვისმენთო.

პაატა ძვანტალიანი

ფრანგი მოდის!

როჟე ლემერი უკრაინას თბილისში დაზვერავს

27 მარტს ბელგია-ჰოლანდიის გზაზე მიმავალი გუნდები კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამენ. ამ დღეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები გაიმართება. საქართველოს ეროვნული ნაკრები სლოვენიის გუნდს უმასპინძლებს. გარდა ამ შეხვედრისა ბებერ კონტინენტზე სხვა შესარჩევი მატჩებიც გაიმართება, რომელთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს, ალბათ, IV ჯგუფში საფრანგეთისა და უკრაინის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრა იწვევს. მოგეხსენებათ, საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონია, უკრაინელები კი ცხრა ქულით ჯგუფის ლიდერები არიან.

მავანი იკითხავს, კი მაგრამ, ამ მატჩს ჩვენთან რა კავშირი აქვსო. ახლავე მოგახსენებთ.

როგორც ცნობილია, ზემონახსენებ თარიღამდე ერთი კვირით ადრე, 20 მარტს, თბილისში უკრაინის ნაკრები გვეწვევა. იოჟეფ საბო საქართველოში უძლიერეს შემადგენლობას იახლებს. ჰოდა, საპასუხისმგებლო მატჩის წინ მეტოქე გუნდის დაზვერვა და მისი უკეთ შესწავლა ხომ საქმეს დიდად წაადგება.

19 მარტს საგანგებოდ ამ მატჩისთვის თბილისში მსოფლიოს ჩემპიონთა ხელმძღვანელობა ჩამოვა. მზვერავებად თავად ნაკრების მწვრთნელი როჟე ლემერი და მისი თანაშემწე რომონდ დომენიკი იქნებიან.

გიორგი ვაშაკიძე

გადმოფრენა ბელგიიდან

დინამოსა და მისი ყოფილი ფილიალის მეჯახე

მორჩა, დღეიდან ყველა აქ იქნება. ბელგიაში მხოლოდ ორი ქართველი ფეხბურთელი დარჩება. ეროვნული და 18-წლამდელთა ნაკრების წევრები გელა შეყილაძე და ლაშა ჯაკობია თავიანთ კლუბებში — „ლიერსსა“ და „სტანდარტში“ გააგრძელებენ ბურთაობას.

დღეს საღამოს თბილისის აეროპორტში კიდევ ერთი თვითმფრინავი დაეშვება და ბელგიაში შემორჩენილ ქართველობას სამშობლოს ჩაახუტებს. დამთავრდა თბილისის „დინამოს“ ორკვირიანი ვოიაჟი. ჩემპიონებთან ერთად დედაქალაქში ბრუნდება „რასინგ მეხელენის“ მწვრთნელ-კონსულტანტი დავით ყიფიანი.

„ლომელთან“ 0:3 წაგების შემდეგ დინამოელებს, ორი დაგეგმილის ნაცვლად, ერთი საკონტროლო შეხვედრა გაუმართავთ. როგორც მიხეილ ასათიანმა სატელეფონო საუბარში გვამცნო, ხურცილავას შეგირდები ბელგიურ „აალსტს“ გაჯიბრებიან და მიხეილ აშვეთიას გოლის წყალობით 1:0 უმარჯვიათ.

ამასობაში კი ყიფიანის „რასინგ მეხელენმაც“ მორიგი ტურის მატჩი გამართა შინ და 1:1 დაუზავდა „სპრიმონს“. „დინამოს“ ყოფილი ფილიალი კვლავ მეორე ადგილზე იმყოფება და ექვსი ქულით მეტი აქვს დაკარგული, ვიდრე მესამე ლიგის ერთპიროვნულ ლიდერ „ტინენს“.

ხვიჩა სანიკიძე

დე ფაქტო — ჰო, დე იურე — არა

„სარბიელის“ მკითხველს გიორგი დავითნიძის იაროსლავლის „შინიკში“ შესაძლო გადაბარგების შესახებ რა ხანია ვაუწყეთ. მოულოდნელად კი დავითნიძემ 20 თებერვალს „არსენალი“ — „მერანის“ სათასო შეხვედრაში ითამაშა. ბუნებრივია, ძალიან დავინტერესდით და მატჩის შემდეგ გკითხეთ გიორგის, რა მოხდა იაროსლავლში.

— ჩემი „შინიკში“ თამაში ფაქტობრივად გადაწყვეტილია. გუნდს ვახლდი შეკრებაზე იტალიაში, სადაც ოთხი თამაში გავმართეთ და ოთხივეში ვმონაწილეობდი. მწვრთნელმა ორი თამაში ძირითადში მათამაშა, ორშიც — შეცვლაზე შევედი. ბოლოსწინა მატჩში კი გოლიც გავიტანე. „შინიკის“ ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა ჩემი თამაშით და კონტრაქტზე ხელის მოწერას აღარაფერი უდგას წინ. ოცდასამში ჩემი ახალი გუნდი სოჭში ჩავა შეკრებაზე. მეც იქ შევუერთდები და ხელშეკრულებასაც მაშინ გავაფორმებ. რაც შეეხება, „მერანში“ ჩემს დღევანდელ თამაშს, თბილისში 19-ში ჩამოვედი და რაკი „შინიკთან“ კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, სერგო გაბელაიამ მთხოვა, „მერანს“ დავხმარებოდი.

ასე რომ, დავითნიძე ფაქტობრივად შინიკელია.

კონსტანტინე გოგიშვილი

ფოცხვერიას შახტიორი კვიპროსზეც მარჯვობს

როგორც გაუწყებდით, დონეცკის „შახტიორი“ ისრაელისა და გერმანიის შემდეგ კვიპროსზე გაემგზავრა და ხმელთაშუა ზღვის კუნძულზე განაგრძო შეკრება. ჩვენებური მიხეილ ფოცხვერიას თანაგუნდელებს, ეტყობა, მეორე წრისთვის სერიოზული მიზნები დაუსახავთ და გუნდის ხელმძღვანელობაც ყველანაირ პირობას უქმნის ფეხბურთელებს. გერმანიაში სტუმრობის დროს „ნიურბერგთან“ 0:2 დამარცხების შემდეგ „შახტიორის“ მთავარი მწვრთნელი ვალერი იარემჩენკო ფოცხვერიას თამაშით უკმაყოფილო რომ დარჩენილა, ამის შესახებ გაცნობეთ. თუმცა გუნდის დამრიგებელმა მალე დაივიწყა ყოველივე და ქართველ თავდამსხმელს ძირითადში თამაშის საშუალება მისცა.

კვიპროსზე უკრაინელებმა უკვე ორი საკონტროლო შეხვედრა გამართეს და ორჯერვე გამარჯვებულებმა დატოვეს მოედანი. პირველ მატჩში „შახტიორმა“ ესტონეთის „ფლორას“ 2:1 მოუგო. მიხეილ ფოცხვერიამ მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა. იარემჩენკომ იგი თავდამსხმელ ორბუს ნაცვლად შეუშვა მინდორზე. გოლები შტოლცერსმა და ვორობეიმ გაიტანეს.

მეორე შეხვედრაში კი დონეცკელებმა ვოლგოგრადის „როტორი“ დაამწუხრეს და ორბუს პენალტის წყალობით 1:0 გაიმარჯვეს. წინა მატჩისგან განსხვავებით, ფოცხვერიამ პირველი ტაიმი იბურთავა. მის ნაცვლად იარემჩენკომ მორგუნოვი გაამწესა.

ხვიჩა სანიკიძე

ლოკომოტივს მტრები ჰყავსო...

ქართული მასმედია მორიგმა საყურადღებო ფაქტმა მოიცვა — თბილისის „ლოკომოტივიდან“ თემურ მახარაძეს უშვებენო. მართალია, ყველაფერი ჭორის დონეზე კი ვრცელდებოდა, მაგრამ დაინტერესებული ხალხი იმასაც ფიქრობდა, კვამლი უცეცხლოდ არ იქნებაო და იყო ერთი სჯა-ბაასი.

გაურკვევლობას რომ ბოლო მოღებოდა, „ლოკომოტივის“ საშეფოში ბატონ ტარიელ ღვაბერიძეს დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ. ჩვენი რესპონდენტი უკიდურესობამდე კატეგორიული იყო — ეს ყველაფერი ჭორია, მოგონელი. პირადად შევხვდი მახარაძეს და ვილაპარაკეთ. არ მესმის საიდან და ვინ ააგორა ეს ამბავი. ეტყობა, „ლოკომოტივს“ მტრები მოუმრავლდა. სწორედ მათ ინტერესებშია ყოველივე.

კონსტანტინე გოგიშვილი

ყველგან კოკა-კოლა. მაკდონალდსი?

„არსენალი“ — „მერანის“ სათასო შეხვედრის შემდეგ სამსაჯოში შესულებს იქაურთა კეთილგანწყობის გარდა ფანჯრის რაფაზე ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ნაწარმი დაგვხვდა. ვერ დავიჩემებთ, რომ აწი ყველა მატჩში ასე იქნება, ეგებ სულაც ზემოთხსენებული მატჩის არბიტრებმა თავად შეიძინეს, ანაც სტადიონის დირექციამ დაახვედრათ გამაგრილებელი სასმელები, მაგრამ „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ სფფ-ს ერ-ერთი სპონსორია და ვინ იცის, იქნებ მსგავსი მომსახურებაც დევს მათ ხელშეკრულებაში.

სხვამხრივ კი ასეც უქნიათ, „ბიგმაკ-მენიუც“ დაუხვედრებიათ გასახდელში ჩვენი მსაჯებისთვის — „მაკდონალდსი“ ხომ უკვე თბილისშია. ყოველ შემთხვევაში, ვუსურვებთ ჩვენს მსაჯებს „ბიგ-მაკისთვისაც“ გაეკრათ კბილი. „მაკდონალდსის“ ნაწარმი ნოყიერია, კალორიული და „მილჩენკოს ტესტებით“ სიქაგაცლილებს ნამდვილად არ აწყენდათ.

კონსტანტინე გოგიშვილი

ჭიჭვეიშვილი ბათუმში დაბრუნდა

შარშანდელი საქართველოს თასის ფინალში ოქროს ბურთის გამტანი „ბათუმის“ მცველ დავით ჭიჭვეიშვილის მოსკოვის „სპარტაკში“ გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილი რომ გვეგონა, თურმე მოლად ასეც არ ყოფილა საქმე. გუშინ ჩვენებური თბილისში დაბრუნდა, ორიოდ საათი ოჯახის წევრებთან გაატარა და საღამო ხანს ბათუმს მიაშურა, ისევ თავის ძველ კლუბში სათამაშოდ.



ბადრი კვითელაძის ფოტო

დავით ჭიჭვეიშვილი

— ისრაელიდან მოსკოვში ჩასულს, „სპარტაკის“ ხელმძღვანელებმა თბილისის ბილეთი დამახვედრეს. ბევრი არაფერი უთქვამთ, მხოლოდ, თუ საჭიროდ ჩავთვლით, აუცილებლად შეგეხმიანებითო, დამამშვიდა გუნდის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

— „სპარტაკის“ მწვრთნელთან არ გისაუბრია?

— არა, ისრაელის მერე რომანცევთან საერთო არაფერი მქონია. თავად არ დამლაპარაკებია, არც მე გამომიჩენია ინიციატივა.

— კი მაგრამ, კლუბთან ერთად ამდენ ხანს მოვარჯიშე ფეხბურთელს ასე უსიტყვოდ როგორ დაგშორდნენ?

— ვერაფერს გეტყვი. ისე, იმედი მაქვს, რომ რუსეთის ჩემპიონატის დაწყებამდე დამირეკავენ. სამედიცინო შემოწმება უკვე გავლილი მაქვს, ჩემი ანკეტა შევსებულია, „სპარტაკის“ ექიმები ჯანმრთელობის მდგომარეობით კმაყოფილი დარჩნენ.

— სავარაუდოდ როდის დაგიკავშირდებითო?

— „სპარტაკს“ ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ რამდენიმე შეკრება აქვს დაგეგმილი. ალბათ, ერთ-ერთზე მეც დამიძახებენ. სხვაგვარად რომ იყოს, მგონი, არც ექიმებს გაასინჯვინებდნენ ჩემს თავს.

— რუსეთის ჩემპიონებთან გატარებული მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილი ხარ?

— რა თქმა უნდა. თავიდან, სოჭში, ძლიერ კი გამიჭირდა, ვერ შევეგუე ახლებურ ვარჯიშებსა და დიდ ფიზიკურ დატვირთვებს, მაგრამ ასე სულ ერთ კვირას გაგრძელდა. მერე დაღლილობასაც ვეღარ ვგრძნობდი. ვატყობ, რომ მოვღონიერდი, „სპარტაკში“ ყოფნისას ბევრი რამ ვისწავლე.

— გავიგეთ, თანამეგობრობის თასის გათამაშებისას გიავადმყოფია...

— ჰო, ძალიან შეუძლოდ ვიყავი, გავცივდი. ხუთი დღე 40 სიცხე მქონდა. ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი. მეექვსე დღეს როგორღაც წამოვდექი, სიარულიც კი მიჭირდა და რომანცევმა მითხრა, კიევის „დინამოსთან“ უნდა ითამაშო. თმები ყალყზე დამიდგა. თამაშისას სული მეხუთებოდა, თანაც დარბაზში.

— ახლა „ბათუმში“ ითამაშებ?

— ხვალიდან უკვე ვარჯიშს დავიწყებ. გავიგე, „ლოკომოტივთან“ თასის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი რომ გადაუდიათ. ჰოდა, წლეულს პირველად, ალბათ, 28-ში ვითამაშებ. ჩემპიონატს „ბათუმში“ დავიწყებ და მოსკოვიდან თუ შემეხმიანებიან, საქართველოში იქამდე დავრჩები.

ქობა ინასარიძე

ჩეხების ძლევაში გერმანელები გვეხმარებიან

ბადრი იფრემიძის ფოტო

18-წლამდელთა თავკაც ვახტანგ კოპალეიშვილს სფფ ზურგს უმაგრებს

ბოლო დროს ევროპულ სარბიელზე მიღწეული წარმატებით თუ კი ვინმეს გაუხარებია ქართველი გულშემატკივარი, ერთ-ერთი უდავოდ საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებია. ვახტანგ კოპალეიშვილის შეგირდებმა 1997 წელს პორტუგალიაში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში იმარჯვეს, ახლა კი თანატოლთა შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე თამაშისთვის იბრძვიან. ქართველმა ჭაბუკებმა საამისოდ ერთი შესარჩევი ეტაპი დაძლიეს და ახლა სანუკვარ მიზნამდე ერთი ნაბიჯიღა აკლიათ — 21 აპრილს ისინი ჩეხეთის ნაკრებს უნდა ეწვივნენ. ერთი კვირის შემდეგ კი (28 აპრილს) თავად უნდა მიიღონ მეტოქე. ფედერაციის ხელმძღვანელობაც ყველანაირად ცდილობს, ვახტანგ კოპალეიშვილს ხელსაყრელი პირობები შეუქმნას ახალგაზრდების სათანადოდ მოსამზადებლად. ცოტა ხნის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თხოვნით მიმართა გერმანიის საფეხბურთო კავშირს, 18 წლამდელთა ნაკრებისთვის თქვენს ქვეყანაში ერთკვირიანი შეკრების მოწყობა გვსურს და იქნებ დაგვეხმაროთო. ფედერაციის გენარალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას თქმით, ამ დღეებში იქიდან საპასუხო ფაქსი მოსულა რის საფუძველზეც ფაქტობრივად გადაწყდა, რომ ნაკრები გერმანიაში 14 აპრილს გაემგზავრება და 20-მდე იქ მოემზადება. შემდეგ კი იქიდანვე ჩეხეთს ეწვევა. მოსამზადებლად გერმანია იმიტომ ვირჩიეთ, რომ ჩეხეთთან ახლოსაა და ბიჭები მგზავრობით არ გადაიღლებიანო, განაცხადა საუბრის დასასრულს ჩოლარიამ.

ვანო ოძროპირიძე

საქართველოს თასი

მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

ვინ არის მეოთხე?

ვინ იქნება თასის გათამაშების წლევანდელი გამარჯვებული? ამ კითხვას საბოლოო პასუხი, რა თქმა უნდა, 26 მაისს გაეცემა, მაგრამ ბევრი რამ დღესაც გაირკვევა. დღეს საღამოს სამი ნახევარფინალისტი გამოვლინდება, მეოთხეს ვინაობას კი 9 მარტს შევიტყობთ. დღეს, მხოლოდ ბათუმში, „დინამოს“ სტადიონზე არ დაირღვევა სიმყუდროვე. აჭარაში სტიქიამ იმძლავრა, ზღვა აბობოქრდა, სტადიონის მინდორი დატბორა. „ბათუმი“ — „ლოკომოტივი“ გადაიდო.

ვისთვის უფრო უპრიანი იყო მეოთხედფინალის ყველაზე საინტერესო წყვილის განმეორებითი მატჩის გადადება? ალბათ, ორივესთვის. „ლოკომოტივის“ სამზარეულოში ყველაფერი რიგზე ვერ უნდა იყოს. გარეგნულად, ზედაპირულადაც რკინიგზელთა გუნდი საათივით აწყობილი მექანიზმის შთაბეჭდილებას ტოვებს. მათი ოფიციალური პასუხებიც „ლოკომოტივის“ მცირერიცხოვან გულშემატკივრებს ჯერჯერობით დამშვიდების საშუალებას აძლევს, მაგრამ საქმეში ჩახედული და გუნდთან დაახლოებული პირები სულ უფრო ხშირად საუბრობენ კლუბში არსებულ დაპირისპირებაზე.

თითქოს საწუხარიც არაფერი ჰქონდათ რკინიგზელებს. ფინანსურად უზრუნველყოფილი გუნდი, კარგი მწვრთნელი, ოცდაათამდე თანაბარი ძალის ფეხბურთელი, რომელთაც ეროვნულ ჩემპიონატში გარკვეული ამინდის შექმნა ძალუძთ და რაც ყველაზე მთავარია, სოლიდური შედეგი. „ლოკომოტივი“ ჯერაც დაუმარცხებელია. პრობლემები მაინც არსებობს და ამბობენ, კლუბის ხელმძღვანელები და თემურ მახარაძე ქიშპობენო. ერთმანეთის მიმართ პრეტენზია ოფიციალურად არც ერთ მხარეს არ გამოუთქვამს. ვნახოთ, 9 მარტამდე ყველაფერი გაირკვევა.

მთლად დალაგებულად არც „ბათუმის“ საქმეა. პირველ წრესთან შედარებით გუნდში არაერთი ცვლილებაა. ამას კაპიტნის და ლიბეროს, მალხაზ მახარაძის ავადმყოფობაც ემატება, რაც დაცვაში გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ჭეიშვილის გუნდი ვერ გამოიყურებოდა ადრინდელივით მობილურად. „შევარდენის“ სტადიონზე მათ გარჯაში არაერთი ხარვეზი შეინიშნებოდა, მაგრამ ამის ერთი მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ ჭეიშვილმა თავის თბილისელ კოლეგას რაღაც დაუმალა ანკესი გადმოგდებული და წამოეგება თუ არა სატყუარას მახარაძე, ამას განმეორებითი მატჩის მერე შევიტყობთ.

თუ მაინცდამაინც ჩავეძიებით ზემოთ დასმულ კითხვას, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ თამაშის გადადებით „ბათუმმა“ უფრო მოიგო. დატბორილ, დამძიმებულ გაზონზე „ლოკომოტივს“ გაცილებით მეტი შანსი ექნებოდა. „ბათუმი“ უფრო განსხვავებული სტილის გუნდია. ჭეიშვილის დამოძღვრილები უპირატესობის მიღწევას ბურთის ხშირი გაკონტროლების ხარჯზე აღწევენ. ატალახებულ მინდორზე ამის განხორციელება კი საძნელო საქმეა.

ძალიან რომ არ დაგღალოთ, თასის გათამაშების ერთ-ერთი ფინალისტი სწორედ „ბათუმი“ — „ლოკომოტივის“ ორრაუნდიანი ბრძოლის გამარჯვებული იქნება.

„ტორპედო“, ჩათვალეთ, ნახევარფინალისტია. ეს ქუთაისური მატჩის გამართვამდეც ცნობილი გახლდათ. რა დიდი ფიცი-მტკიცი იმას სჭირდებოდა, რომ დაჩაჩანაკებული „გორდა“ საჩემპიონოდ მებრძოლ „ტორპედოს“ შემოაკვდებოდა“. ჩვენთვისაც დადგება გაზაფხულიო, უთქვამს რუსთაველთა თავკაც იასონ ალადაშვილს. გულდაწყვეტილი ყოფილა ქუთაისიდან მომავალი რუსთაველი მწვრთნელი. რვა უპასუხო ბურთი, უიმედო აუტსაიდერი, ფაქტობრივად დაშლილი გუნდი და არავითარი პერსპექტივა. გაზაფხული მალე მოვა, მზეც ბევრისთვის გამოანათებს, მაგრამ ასეთი მეპატრონეების ხელში, არა გვგონია, „გორდასთვის“ დათბეს.

„ტორპედო“ კი ნახევარფინალისთვის ემზადება. ქუთაისელთა შეჩერება ძნელია. ფინანსურ უზრუნველყოფას და ძლიერ ფეხბურთელებს რომ თავი დავანებოთ, ქუთაისელთა მიზანსწრაფვა და თავდადებაც არაერთი გუნდის თავისტკივილად ქცეულა.

„არსენალი“ გამარჯვებულად უნდა ჩავთვალოთ. „მერანი“ დღეს არ ჩანს იმ გუნდად, სამბურთიან დეფიციტს რომ დაფარავს და შემდეგ ზეგეგმიურ გამარჯვებასაც მიაღწევს. ტრანსპორტელებმა თავიანთი შანსი ავლაბარში დაკარგეს და დანაკლისს თასის მომავალ გათამაშებაში თუ აინაზღაურებენ, თორემ...

დაბოლოს, „სამგურალი“ — „ვიტ ჯორჯია“. ბოლო მომენტამდე ამ მატჩსაც გადადება ემუქრებოდა. მიზეზი ისევ უამინდობა და არასასურველი მინდვრის საფარი იყო.

გაიოზ დარსაძე, ალბათ, დანაკლისს აინაზღაურებს. დღეს მინდორზე ნაავადმყოფარი სამეულიც გამოვა. მახვილაძე, ბურნაძე და გიორგი კილასონია, რა თქმა უნდა, „სამგურალს“ გააძლიერებენ, მაგრამ ბუნებრივია, მხოლოდ ეს საქმეს ვერ უშველის. ორი უპასუხო ბურთის გაქვითვა იმერლებს გაუჭირდებათ.

„ვიტ ჯორჯია“ კი გამარჯვებული შემადგენლობის შეცვლას არ აპირებს. წყალტუბოშიც გულდამშვიდებულები გაემგზავრნენ. საღამოს იმერეთში იყვნენ და სერიოზული თამაშისთვის ემზადებოდნენ.

მაშ ასე, სამი ნახევარფინალისტი, ფაქტობრივად, ცნობილია. რა თქმა უნდა, ფეხბურთში ყველაფერი ხდება და არ არის გამორიცხული, ნახევარფინალში „მერანი“ და „სამგურალი“ ვიხილოთ, მაგრამ „არსენალმა“ და „ვიტ ჯორჯიამ“ — ზოგი რამ ჩვენც გვკითხეთო. ისე, ყველაფერს ის სჯობს, ძილის წინ სიზმარი არ მოვყვეთ და მოვლენების განვითარებას დაველოდოთ.

მამუკა კვანტალიანი

ანზორ ეფსეროვის ფოტო

ნახევარფინალში გასვლა არმიელებმა ჯერ კიდევ „ისანზე“ იზეიმეს, თუმცა...

წყალტუბო. „26 მაისი“. 24 თებერვალი. 15 საათი

სამგურალი — ვიტ ჯორჯია

პირველი მატჩი 0:2

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
კომისარი: მ. მიმინოშვილი; **დელეგატი:** ი. რუხაძე

თბილისი. „სინათლე“. 24 თებერვალი. 15 საათი

მერანი — არსენალი

პირველი მატჩი 0:3

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი)
კომისარი: ა. დურსუნიში; **დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

რუსთავი. „ფოლადი“. 24 თებერვალი. 15 საათი

გორდა — ტორპედო

პირველი მატჩი 0:8

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. მეშკოვი, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი)
კომისარი: შ. ხინჩაგაშვილი; **დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

ახალგაზრდებიც ასეთი უნდა

ამხანაგური მატჩი

აშშ 2:1 ჩილე

1:0 ოლსენი (58), 1:1 კარტესი (64), 2:1 ლუისი (65)

აშშ: ტორნტონი (პრესტასი 46), დული, ბრაუნი, ლამოსა, ლუისი, უილიამსი (კალენი 86), პრმასი, ოლსენი, დირინგი (მატისი 65), მაკბრაიდი, ლესიტერი (რაზოვი 46)

ჩილე: მარსელო რამირესი, კონტრერასი, როხასი (აროსი 80), კრისტიან აკუნია, ურიბე (პატრისიო ნეირა 70, ვილაროელი 74), მიგელ რამირესი, კლარენს აკუნია, პიზარო, კარტესი, მანუელ ნეირა, ნავია (მოია 67)

ფორტ ლოდერდეილში გამართულ ამხანაგურ მატჩს 15 ათასი ქომაგი დაესწრო და ძალიან უხეში გამოდგა — ფეხბურთელებმა 60-ჯერ დაარღვიეს თამაშის წესები და მსაჯმა ექვსჯერ იხმარა ყვითელი ბარათი.

ანგარიში მეორე ტაიმის მე-13 წუთზე გაიხსნა — მარჯვენა ფრთაზე ბრაიან მაკბრაიდმა ჩილელი მცველი ფრანსისკო როხასი მოატყუა და დაბალი, გამოზომილი პასით „დი სი იუნაიტედის“ თავდამსხმელი ბენ ოლსენი მოძებნა, რომელმაც ბურთი უნაკლოდ გადაგზავნა კარში. ეს 21 წლის ფორვარდის პირველი სანაკრებო გოლი გახლდათ.

რამდენიმე წუთში კი გაქვითა რობერტო კარტესმა, მაგრამ ჩილელებს მხოლოდ წამების განმავლობაში უხაროდათ — ოლსენის მსგავსად, ახალგაზრდა ედი ლუისმაც ეროვნულ გუნდში პირველი გოლი გაიტანა და მატჩის მერე ამით აღფრთოვანებულმა თქვა:

— თითქმის ყოველდღე ვოცნებობდი ამ დღეზე და ძალიან მიხარია, რომ ნატვრა ამიხდა.

უკმაყოფილო არც ამერიკელთა თავკაცი ბრიუს არენა იყო:

—საკმაოდ მაღალ დონეზე ვითამაშეთ, განსაკუთრებით ტომას დული მომეწონა. ეს გამარჯვება მით უფრო სასიხარულოა, რომ გამოცდილ მეტოქეს ახალგაზრდა ფეხბურთელებით მოვუგეთ, რაც ჩვენს დიდ პოტენციალზე მეტყველებს.

ნელსონ აკოსტა ლოპესი, ჩილეს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

— დღეს ლიდერები გვაკლდნენ: მარსელო სალასი და ივან სამორანო, თუმცა ურიგოდ მაინც არ გვითამაშია. გუნდს აშკარად ეტყობა, რომ კარგი მომავალი აქვს.

დაბოლოს — მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ამერიკელებმა ოთხი შეხვედრა გამართეს და ერთიც არ წაუგიათ. ორი კვირის წინ კი სახელოვანი გერმანიის ნაკრები შეარცხვინეს — 3:0.

ედი ლუისმა (№7) და ბენ ოლსენმა ჩილელებს თითო გოლი გაუტანეს

ფიქრი ინგლისურად

კიგანი

როდესაც კევინ კიგანმა ინგლისის ნაკრების მუდმივ მწვრთნელობაზე უარი განაცხადა და მხოლოდ ოთხი თამაშის ხელმძღვანელობა იტვირთა, ხალხს მისი საქციელი ეუცნაურა: ეროვნული გუნდის თავკაცობა ხომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში სამწვრთნელო კარიერის მწვერვალად ითვლება.

მიუხედავად ამისა, ბევრი მიმომხილველი ამბობს, რომ კიგანის ერთგულება მეორე დივიზიონის კლუბ „ფულემისადმი“ პატივისცემის ღირსია.

მაგრამ ამით ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას თავსატეხი არ მოკლებია. ლანკასტერ გეიტზე კვლავ საძებნელი ჰყავთ ადამიანი, რომელიც დიდი ხნით გაჰყოფს თავს ყულფში. თანაც ის, ვინც ყულფში თავის გაყოფას დაყაბულდება, განწირულია მუდმივი წამოძახილისთვის: შენ სულაც არ იყავი ყველაზე სასურველი კანდიდატი. აი, კიგანი რომ დათანხმებოდა...

და მაინც, რამ განაპირობა კიგანის ერთგულება „ფულემისადმი“? ფულმა?

რატომაც არა. ზოგადი სიმპატიებისა და მუდმივი ღირებულებების უარმყოფელ ცინიკოსებად ნუ ჩაგვთვლით, მაგრამ, სულო ცოდვილო და, ფაქტია, რომ „ფულემის“ მეპატრონემ მოჰამედ ალ ფაედმა ინგლისური ფეხბურთის ყოფილ ვარსკვლავს კლუბის აქციათა 5 პროცენტი შესთავაზა. ამრიგად, თუ მიკი მაუსი (კიგანის მეტსახელია) კონტრაქტს 2000 წლის ივნისამდე მოაწერს ხელს, იგი ძალიან გამდიდრდება.

ცნობისთვის: მოჰამედ ალ ფაედი ლონდონური მაღაზია „ჰეროდსის“ მეპატრონეა, „ჰეროდსი“ უფრო უნივერმაღია, ოღონდ ძალიან ძვირიანი. მასში საქონლის შეძენა პრესტიჟულია. მაგალითად, ფეხბურთის ვარსკვლავმა, პოლ გესქოინმა აწუკვეგაყრილ მეუღლესთან, შეილასთან, ქორწინებისთვის — სადღესასწაულო სამოსი სწორედ „ჰეროდსში“ შეიძინა.

დავუბრუნდეთ „ფულემს“, რომლის ფასი დღეისათვის 35 მილიონი გირვანქაა. ცოტაა? თუ კიგანის ხელში გუნდი პრემიერლიგაში ავა, მიკი მაუსი შესაძლოა არა 35 მილიონიანი, არამედ 200 მილიონიანი გუნდის 5 პროცენტის მეწილე გახდეს.

და ისევ ლანკასტერ გეიტის თავსატეხი: ნაკრების მწვრთნელს დღეს უფრო მეტი ხელფასი სჭირდება, ვიდრე გუშინ, ხვალ გაცილებით მეტი დასჭირდება, ვიდრე დღეს. ხომ ხედავთ, კლუბის მეპატრონეებს სპეციალისტები უკვე მოჯამაგირეებად კი არა, არამედ მეწილეებად აჰყავთ.

ფეხბურთის ასოციაციისთვის კიგანის უარი მართლაც დიდი უხერხულობაა. მიკი მაუსი ხომ მარტო ჩინოსანთა კი არა, ხალხის სასურველი კანდიდატიც გახლდათ.

იგი მხოლოდ ოთხ თამაშს დაყაბულდა. ვინ იქნება შემცვლელი? აქვთ კი ლანკასტერ გეიტზე იმდენი მილიონი გირვანქა, ერთი ნაკრების მწვრთნელის ხელფასად რომ ემეტებოდეთ? გამოჩნდება კი მცოდნე კაცი, მილიონზე ნაკლებ გასამრჯელოს რომ დაყაბულდება?

და თუ ვინმე მართლაც გამოჩნდება, თუ იტყვის, რომ ამბიციის გამო შეეჭიდება საქმეს, გლენ ჰოდლი უნდა ახსოვდეს. ამბიციურ კაცს, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება რელიგიური შეხედულებები დაუწუნონ.

ისე, კიგანს სამწვრთნელო კარიერაში, დიდი ტიტული არასდროს მოუგია. „ნიუკასლში“ რომ მუშაობდა, პრემიერლიგაში გამარჯვება შეეძლო, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვა. იქნებ ნაკრებში ეცადა ბედი?!

უცხოელები?

ლანკასტერ გეიტი ფიქრის ადგილია. იქნებ სულაც არაა აუცილებელი ეროვნულ გუნდს სათავეში თანამემამულე ჩაუყენონ? ამრიგად, ინგლისელ საფეხბურთო დიდმოხელეთა მზერა ალბიონის კუნძულებს სცდება და კონტინენტზე გადმოდის.

უცხოელთაგან ჰოდლის ნამდვილი შემცვლელი შესაძლოა, ვიმ იანსენი გახდეს, ის, რომელიც გლაზგოს „სელტიკს“ წვრთნიდა. ამ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ძალიან ტიტულოვან, მაგრამ ბოლო დროს საშუალოდ ქცეულ „სელტიკს“ გასულ სეზონში ისეთი თვისებები შესძინა, რომ ბევრმა ინგლისელმა მიმომხილველმა ქების სიტყვები უძღვნა.

და მაინც, საუკუნოვანი ტრადიციის დარღვევა ლონდონში ეთაკილებათ: ინგლისის ნაკრების თავკაცად არაინგლისელის მიყვანა თითქოს რაღაც ისეთს გაბზარავს, რომ...

როი ჰოჯსონი ინგლისელია, მაგრამ მთლად ინგლისელიც არ არის. იგი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ლა მანშს გამოღმა მუშაობდა, ხან შვეიცარიის ნაკრებს ედგა სათავეში და ხან მილანის „ინტერს“. უთქვამს კიდეც საკუთარი პირით, მართალია, ეროვნებით ინგლისელი ვარ, მაგრამ წლების მანძილზე საზღვარგარეთ მუშაობამ კოსმოპოლიტად მაქციაო. ჰოჯსონის საფეხბურთო აზროვნებაც არ გახლავთ ტიპიურ-ბრიტანული.

არსენ ვენგერი ხომ არც ეროვნებითაა ინგლისელი და არც აზროვნებით. ამ ფრანგმა სპეციალისტმა, ლონდონის „არსენალის“ სათავეში ჩადგომის შემდეგ, ბრიტანულ ფეხბურთში შეიტანა ახალი ტალღა, სხვანაირი მიდგომა და აზროვნება.

ალექს ფერგიუსონი შოტლანდიელია. მან „მანჩესტერ იუნაიტედს“ მთელი ეპოქა შეუქმნა, ფერგიუსონისეული ეპოქა.

მარტინ ო'ნილი — ჩრდილო ირლანდიის ეროვნული გუნდის ყოფილი მოთამაშეა. იგი „ლესტერ სიტის“ უდგას სათავეში და გუნდს გასაშვებად არ ემეტება. ლესტერელებმა მასთან მოლაპარაკებათა ახალი ციკლი წამოიწყეს, სურთ, რომ 2002 წლამდე გაუფორმონ მორიგი ხელშეკრულება. ო'ნილის მთავარი სამწვრთნელო პლუსი გახლავთ შეგონება. მას ფეხბურთელების რა გინდა რა ბრძოლისთვის მომართვა ძალუძს.

კიდევ ვინ შეიძლება იყოს?

მიხეილ სურგულაძე



კევინ კიგანი გაორებულია, ფეხბურთის ასოციაცია — დაბნეული

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

თურქეთი

21-ე ტური: გალათასარაი — ისთანბული 3:3

ფენერბაჰჩე	21	15	3	3	57:14	48
გალათასარაი	21	14	5	2	59:23	47
ბეშიქთაში	21	13	6	2	36:17	45
ტრაბზონი	21	12	4	5	30:23	40
ქოჯაელი	21	11	4	6	27:21	37
ისთანბული	21	9	6	6	35:26	33
ანთალია	21	9	4	8	27:27	31
გენჩლერბირლიგი	21	7	8	6	28:27	29
გაზიანთეფი	21	7	7	7	29:31	28
ალთაი	21	7	4	10	29:35	25
ანკარაგიუჯიუ	21	7	3	11	26:30	24
ბურსა	21	7	3	11	32:45	24
სამსუნი	21	6	4	11	23:36	22
ერზურუმი	21	5	7	9	22:43	22
ადანა	21	6	3	12	20:38	21
საქარია	21	4	5	12	26:34	17
დარდანელი	21	3	8	10	14:27	17
ქარაბუქი	21	3	4	14	17:38	13

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XVII ტურის გამოტოვებული მატჩი

კიკერსი 1:3 ზანქტ პაული

0:1 მარინი (55), 0:2 მეისონი (69), 1:2 საილერი (73), 1:3 შერცი (83)

ულმი	19	10	7	2	41:27	37
ფიურტი	19	11	4	4	27:15	37
უნტერჰახინგი	19	11	3	5	25:14	36
არმინია	19	11	3	5	30:20	36
კარლსრუე	19	11	1	7	35:25	34
ბერლინი	18	10	3	5	30:22	33
ფორტუნა	19	8	6	5	31:26	30
ჰანოვერი	19	8	3	8	25:22	27
კიკერსი	19	8	3	8	19:26	27
მაინცი	19	7	5	7	26:28	26
კიოლნი	19	6	6	7	23:30	24
ობერჰაუზენი	19	4	9	6	21:27	21
ზანქტ პაული	18	5	4	9	22:28	19
დიუსელდორფი	19	3	9	7	25:30	18
კოტბუსი	19	3	8	8	19:24	17
გიუტერსლო	19	3	6	10	25:36	15
ურდინგენი	19	2	7	10	19:30	13
ვატენშაიდი	19	2	7	10	10:23	13

ბრაზილია

რიო-სან პაულუს ჩემპიონატი.

ნახევარფინალის პირველი მატჩები

ვასკუ და გამა 2:3 სან პაულუ

სანტოსი 1:0 ბოტაფოგო

პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემპიონატი

პირველი ჯგუფი

პორტუგეზა 3:2 იტუანო

ლიმეირა 2:1 ბარბარენსე

სან ჟოზე 1:1 რიო ბრანკო

პორტუგეზა	8	6	1	1	17:8	19
ბარბარენსე	8	4	2	2	14:9	14
რიო ბრანკო	8	4	1	3	16:11	13
ლიმეირა	8	3	1	4	8:13	10
სან ჟოზე	8	2	3	3	5:10	9
იტუანო	8	0	2	6	6:15	2

მეორე ჯგუფი

მატონენსე 5:4 უნიაო

არაკატუბა 1:1 გუარანი

მოგი მირიმი 1:0 სანტისტა

გუარანი	8	4	3	1	16:8	15
მატონენსე	8	4	1	3	18:18	13
მოგი მირიმი	8	3	3	2	15:14	12
არაკატუბა	8	2	3	3	14:16	9
სანტისტა	8	3	0	5	11:17	9
უნიაო	8	2	2	4	17:18	8

შემდგომ ეტაპზე თითო ჯგუფიდან ოთხი საუკეთესო გუნდი გადის. მეორე წრეში უკვე ავტომატურად არიან „პალმეირასი“, „კორინთიანსი“, „სანტოსი“ და „სან პაულუ“.

თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩები

კორინთიანსი 6:2 უბირიტანი
(ორი მატჩის ჯამში 7:2)

პალმეირასი 3:1 სან რაიმუნდო
(5:2)

ფეხბურთის რუკასთან

ჩეხეთის ჩემპიონატის მე-16 ტური: ოლომოუცი — პრადეც კრალოვე 1:0, ჩემელი — ტეპლიცე 3:2, დუკლა — სლავია 1:2, ბანიკი — სლოვანი 2:0, ბობი - ოპავა 4:1, ვიქტორია (ჟიჟკოვი) — დრნოვიცე 0:1, იაბლონეცი — კარვინა 1:1, სპარტა — ვიქტორია (პლზენი) 2:0. ჩემპიონატს 34 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს პრაღის „სპარტა". მეორე ადგილზეა „ტეპლიცე", რომელიც ლიდერს სამი ქულით ჩამორჩება, მესამეზე კი 30 ქულით „დრნოვიცეა".

იტალიელ თავდამსხმელ მარკო ბრანკას, რომელიც დღესდღეობით ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „მიდლსბროს" ღირსებას იცავს, იმედი აქვს, რომ ამერიკაში გამოჯანმრთელდება და ამიტომაც ტრავმის მოსარჩენად აშშ-ს მიაშურა. 34 წლის ფორვარდს კლუბის ექიმებმა განუცხადეს, რომ მუხლის ტრავმის შემდეგ იგი ვერ მომჯობინდებოდა, თუმცა ფეხბურთელმა მათ ყური არ უგდო და იტალიაში 16 ათასი დოლარი გაიღო განსაკურნავად. ფეხბურთელის მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა, მაგრამ მას მუხლი მაინც აწუხებს. შეგახსენებთ, რომ მარკო ბრანკა „მიდლსბროში" შარშან გადავიდა მილანის „ინტერიდან". პრემიერლიგის კლუბში მან შარშანდელ სეზონში 12 მატჩში ცხრა გოლი გაიტანა, მიმდინარე ჩემპიონატში კი მხოლოდ ერთ შეხვედრაში ითამაშა, ისიც 25 წუთით.

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ბუნდესლიგის ერთი მატჩი, რომელიც პარასკევს უნდა გამართულიყო, ისევ გადაიდო. თავდაპირველად იგი 23 თებერვლისთვის გადმოიტანეს მაგრამ, უამინდობის გამო კვლავ ჩაიშალა და 2 მარტს, სამშაბათს გაიმართება. პარასკევს მეორე წრის გახსნის მატჩში „ბოხუმს" „ჰამბურგისთვის" უნდა ემასპინძლა.

აშშ-ის ნაკრებმა პორტ ლოდერდეილში ჩილეს უმასპინძლა და 2:1 გაიმარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა ამხანაგური იყო, იგი მაინც გამორჩეული გახლდათ — ამერიკელებმა ნაკრებიდან გააცილეს გუნდის ვეტერანი ტომას დული. 37 წლის მცველს, რომელსაც ნაკრებში 81-ჯერ უთამაშია, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დოქტორ რობერტ კონტიგულიმ სამახსოვრო მონეტაც გადასცა. შეგახსენებთ, რომ დული მსოფლიოს ბოლო ორ ჩემპიონატში მონაწილეობდა. ამასთანავე გერმანულ კლუბებში — „ჰამბურგში", „კაიზერსლაუტერნში", „ლევერკუზენსა" და „შალკეში" უთამაშია.

დანიურმა „ორჰუსმა" განაცხადა, რომ კლუბის 21 წლის თავდამსხმელი პეტერ დეგნი პრემიერლიგის აუტსაიდერ „ევერტონში" გადავიდა. გუნდის ხელმძღვანელის თქმით, მათთვის ტრანსფერი საკმაოდ მომგებიანი იყო, თუმცა რამდენად, არ გაამხილეს. ფეხბურთელი „ორჰუსს" 1996 წელს შეუერთდა და მის შემადგენლობაში ჩატარებულ 90 მატჩში 76 გოლი გაიტანა. მართალია, გუნდში ტრანსფერის შესახებ არაფერს ამბობენ, მაგრამ დანიური პრესის განცხადებით, ინგლისელებმა დეგნის სანაცვლოდ 310 ათასი დოლარი გაიღეს.

იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „მილანი", ფრანგული პრესის ცნობით, საფრანგეთის ჩემპიონ „ლანსს" შეეხმიანა გამთამაშებელ სტეფან დალმას თაობაზე. „ჩვენ სტეფანის დარი ფეხბურთელები გვესაჭიროება და მის გადასაბირებლად ყოველ ღონეს ვიხმართ. „ლანსთან" მოლაპარაკებებს შევუდგებით და უახლოეს მომავალში კლუბის პრეზიდენტ არვი მარტელსაც შევხვდებით" — განაცხადა მილანური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ. 20 წლის დალმა ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერი და იმედისმომცემი ფეხბურთელია, რომელიც კი ამ ბოლო სეზონების მანძილზე საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში გამოჩენილა.

პოლონეთის შარაშანდელმა საუკეთესო ფეხბურთელმა მიროსლავ ტრუჩიაკმა ესპანეთის მეორე დივიზიონის კლუბ „ოსასუნასთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც 30 წლის ფეხბურთელი გუნდში 2002 წლამდე დარჩება. ტრუჩიაკი „ოსასუნაში" გასულ სეზონის შუაგულში გადავიდა და ახლაც იქ თამაშობს, თან საკმაოდ წარმატებითაც. მიმდინარე ჩემპიონატში პოლონელმა თავდამსხმელმა ექვსი გოლი გაიტანა და დიდად დაეხმარა გუნდს ლიდერთა შორის ადგილის დამკვიდრებაში. შეგახსენებთ, რომ მიროსლავ ტრუჩიაკი პოლონეთის ნაკრების ფეხბურთელიცაა.

ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბ „ლუთონის" თავმჯდომარე დევიდ კოლერმა განაცხადა, რომ იგი სიკვდილს კლუბთან განშორებას ამჯობინებს. 52 წლის კოლერი ცოტა ხნის წინ ლამის სიცოცხლეს გამოასალმეს, მაგრამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით იგი გადარჩა. „სიკვდილს არ ვაპირებ და მირჩევნია, „ლუთონს" გავშორდე. გუნდი ძალიან მიყვარს, მაგრამ მე არ ვუყვარვარ სხვებს" — თქვა კოლერმა. ცნობისთვის: იგი „ლუთონის" აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელია.

საფრანგეთის ნაკრების მცველმა, მსოფლიოს ჩემპიონმა ემანუელ პეტიმ შესაძლოა კარგა ხანს ვერ ითამაშოს. ლონდონის „არსენალის" ფეხბურთელმა 10 თებერვალს, ნაკრებში ინგლისელთა წინააღმდეგ თამაშისას მუხლის ტრავმა მიიღო და მას შემდეგ ავადმყოფობს. „იმედია, მისი ტრავმა ძალიან სერიოზული არ იქნება. პეტის არყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისია, თუმცა ვეცდებით, „არსენალს" არაფერი დავამჩნიოთ" — განაცხადა ლონდონელთა დაცვის ბურჯმა ტონი ადამსმა. ინგლისური პრესის ცნობით, ემანუელ პეტის შესაძლოა ოპერაციაც დასჭირდეს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, ბრაზილიასთან 3:0 მოგებულ შეხვედრაში, სამხრეთამერიკელთა კარში მესამე გოლი სწორედ პეტიმ გაიტანა.

ხორვატიის ჩემპიონატის მე-18 ტური: სიბენიკი — რიეკა 0:1, დრაგოვოლიაცი — სიბალია 3:1, ზადარკომერცი — ვარტექსი 5:3, ჰაიდუკი — ზაგრები 1:0, კროაცია — სლავენი 2:1, ოსიეკი — მლადოსტ 127 1:3. ჩემპიონატს 44 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს „კროაცია", თუმცა მდევარ „რიეკას" მხოლოდ ქულით უსწრებს. 38 ქულით მესამეა „ჰაიდუკი".

ურუგვაელი თავდამსხმელი ფერნანდო კორეა აიალა, რომელიც დღესდღეობით ესპანეთის 1996 წლის ჩემპიონის და თასის მფლობელ მადრიდის „ატლეტიკოს" ღირსებას იცავს, ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „სოსიედადთან" 2:3 წაგებულ შეხვედრაში დაშავდა. კორეას არყოფნამ შეაწუხა კლუბი. შეგახსენებთ, რომ „ატლეტიკოს" მეორე თავდამსხმელი კიკო ნარვაესი ცოტა ხნის წინ დაშავდა. 25 წლის კორეა მიმდინარე სეზონში გატანილი რვა გოლით „ატლეტიკოს" საუკეთესო ბომბარდირია, მთლიანობაში პრიმერა დივიზიონში კი 35 გოლი აქვს გატანილი. „ატლეტიკოსთან" კონტრაქტი მას 2002 წლამდე აქვს გაფორმებული.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ფეხბურთის კომიტეტი ფეხბურთის შესახებ

ფიფაში ახლადდაარსებულმა, ეგრეთწოდებულმა საფეხბურთო კომიტეტმა ჩაატარა პირველი სხდომა. აღმოჩნდა, რომ სხდომის მონაწილეებს მსოფლიოს ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ გამართვასთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრი აქვთ, მაგრამ ისინი ერთსულოვანნი არიან მსოფლიო საფეხბურთო კალენდრის ჰარმონიზაციის საკითხში.

კომიტეტში ბევრი სახელოვანი მოღვაწეა გაერთიანებული: პელე, ფრანც ბეკენბაუერი, უგო სანჩესი, ცნობილი მსაჯები და სხვა ოფიციალური პირნი.

კომიტეტის თავმჯდომარემ, ესპანელმა ანხელ მარია ვილიარმა, რომელიც ახალგაზრდობაში თავად გახლდათ პროფესიონალი ფეხბურთელი, განაცხადა, რომ სხდომა ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა და მისმა მონაწილეებმა მეტისმეტად საინტერესო საკითხები წამოჭრეს. კერძოდ:

იოჰან კრუიფმა და მისმა თანამოაზრეებმა წლის განმავლობაში თამაშების რაოდენობის შემცირება მოითხოვეს.

ჟორჟ ვეამ განაცხადა, რომ ფეხბურთელებს სურთ მოასწრონ და მოახერხონ როგორც ნაკრებში, ასევე კლუბებში თამაში.

ბობი ჩარლტონის აზრით, მწვრთნელები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ დისციპლინის საკითხებს, რათა მოთამაშეებმა მსაჯების თითოეული გადაწყვეტილების საპროტესტოდ ჩხუბი არ ატეხონ.

გორდონ ტეილორმა, რომელიც პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის თავმჯდომარე გახლავთ, ნიჭიერ ახალგაზრდათა მოფრთხილების საკითხი წამოჭრა. გარდა ამისა, მან ისაუბრა პროფესიული კლუბების სტრუქტურაში ქალთა გუნდების ჩასმის შესახებაც.

გეორგ ჰაჯის სიტყვა შეეხო იმ ფეხბურთელთა სატკივარს, რომლებიც იმ ქვეყნებიდან არიან, ევროკავშირს რომ არ განეკუთვნებიან და თამაშობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების გუნდებში.

რიქსის, სექსის და სამართლის შესახებ

ლონდონის „ჩელსი" 1955 წლის მერე ინგლისის ჩემპიონი აღარ გამხდარა. შარშან დედაქალაქელებმა ევროპის თასების მფლობელთა თასი დაისაკუთრეს და მადაც გაეხსნათ — მიმდინარე სეზონში პირველობა გადაუწყვეტიათ. ამისთვის კლუბის სალაროც ცოტა არ იყოს, დაცარიელდა. „ჩელსიმ" ბლომად ვარსკვლავები შეიძინა — მსოფლიოს ჩემპიონი მარსელ დესაი, იტალიელი პიერლუიჯი კაზირაგი, ესპანელი ალბერტ ფერერი...

ინგლისური კანონების თანახმად, პიროვნებას, რომელიც 16 წლამდე ახალგაზრდასთან, თუნდაც ამ უკანასკნელის ნება-სურვილით სექსუალურ კავშირს დაამყარებს, ორი წელი ციხეში მოუწევს ყურყუტი, ხოლო თუ „უკანასკნელი" წინააღმდეგია, ანუ მას გააუპატიურებენ, სასჯელი 5-ჯერ იზრდება და 10 წელს შეადგენს...

ახლო წარსულში ცნობილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა გრემ რიქსმა (ნაკრებში 17 მატჩი), ვინც დღესდღეობით სწორედ „ჩელსის" იტალიელი მოთამაშე-მწვრთნელის ჯანლუკა ვიალის თანაშემწეა, რა თქმა უნდა, ლონდონური კლუბის გეგმები მშვენივრად უწყის და „არისტოკრატთა" გაჩემპიონების დიდი სურვილიც აქვს, ამაზე და რიქსის პროფესიონალიზმზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ინგლისის კანონები არცთუ კარგად იცის. ამიტომაც ამიერიდან ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსის სახელმძღვანელოზე თავის ხლა, ადვოკატების და შექმნილი ურთულესი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა მოუწევს.

რაშია საქმე?

ყველაფერს თავიდან მოვყვეთ. რიქსი სამშობლოში პოპულარულ პიროვნებად ითვლება, განსაკუთრებით ლონდონში. არც გარეგნობა დაეწუნება და არც საბანკო ანგარიში. ჰყავს მეუღლე დ ოთხი შვილი. მეტი რაღა უნდა ინატროს 41 წლის კაცმა?

მაგრამ ხომ იცით, ადამიანს იმაზე მეტი უნდა, რაც აქვს. ერთხელაც, ალბათ, ვისკით შებუჟბუჟებული გრემი სამხრეთ-დასავლეთ ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში აღმოჩნდა, საინტერესო, სიყვარულით სავსე ღამის გასატარებლად. ბუნებრივია, ამისთვის მოწინააღმდეგე სქესის (კიდევ კარგი!) პარტნიორი იყო საჭირო და რიქსმა ის ადვილად იპოვა — ლონდონში ამის პრობლემა არასდროს ყოფილა. სავარაუდოდ 1998 წლის 8 იანვარი იყო.

ნასვამი რომ არ ყოფილიყო, ეგებ შეემჩნია კიდეც რაიმე პარამეტრი, რომ „პარტნიორს" ქალობამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლდა და სულ ნორჩი იყო. მაგრამ ხომ იცით მთვრალი კაცის ამბავი.

გრემ რიქსი და ჯანლუკა ვიალი

საგამომძიებლო მასალებში წერია, რომ რიქსი თავის ახალ სიყვარულთან კიდევ რამდენჯერმე იყო და ისიც, 15 წლის გოგონა, მთლად მომხრე რომ არ გახლდათ ამ „ყოფნის".

ერთი სიტყვით, სასამართლო ირწმუნება, რიქსმა ბავშვი, რომლის ვინაობაც რიგი მიზეზების გამო უცნობია, რამდენჯერმე გააუპატიურაო.

„ჩელსის" მენეჯერის ასისტენტი კი ამტკიცებს, რომ სულ ორჯერ ჰქონდა დაზარალებულთან ურთიერთობა, ოღონდ მისივე თანხმობით.

საქმეს ციხის სუნი უდის. სასამართლო პროცესი ორჯერ გადაიდო — ორჯერვე რიქსი თავდებით გაათავისუფლეს. 26 მარტს კი საბოლოოდ გაირკვევა ყოფილი ვარსკვლავის ბედი, სწორედ ამ დღეს არის დანიშნული მორიგი პროცესი.

მოსამართლე ტიმოთი პონტიუსი ამბობს:

— რიქსის მდგომარეობა უმძიმესია, მას აუცილებლად გაასამართლებენ და ეს მისთვის მოულოდნელი არ უნდა იყოს.

ასე რომ, რიქსს არაკაცული დონ ჟუანობა არ გაუვიდა. ამას წინათ ჰოდლს რელიგიაზე უაზრო ლოზუნგების სროლა არ აპატიეს და ძნელი დასაჯერებელია, ტრადიციების, ზნეობის დიდად პატივისმცემელმა ინგლისელებმა რიქსს შეუნდონ.

ფუფუნებას და დიდებას მიჩვეულ რიქსს კი ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მოუწევს — ციხეში ქალებზე, მით უმეტეს ბავშვებზე მოძალადეებს ნაკლებად ეფერებიან...

დავით კოვზირიძე

სჯობს სხვაგან ვიდრე პარიზში

სარგებლის არქივიდან

მარკო სიმონე სეზონის ბოლოს პსჟ-ს დატოვებს.

შაბათს, საფრანგეთის თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე, პარიზელები შინ პენალტების სერიაში დამარცხდნენ „ნანტთან". იტალიელმა თავდამსხმელმა ფრანგულ გუნდთან განშორება სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტა. სიმონეს, რომელიც „მილანში" მუდამ უმაღლესი მიზნისათვის იბრძოდა და პარიზშიც პირველ წლებში ყოველთვის პირველობისკენ მიისწრაფოდა, მოტივაცია დაეკარგა.

— მე გადავწყვიტე და აზრს აღარ შევიცვლი — სეზონის ბოლოს კლუბს დავტოვებ. კარიერამ სხვაგან გავაგრძელებ. აღარ შემიძლია ვითამაშო იქ, სადაც მუდამ კრიზისიდან თავის დაღწევაზეა საუბარი — მარკო სიმონემ ჟურნალისტებს თავისი გადაწყვეტილება გუშინ გაანდო. „მილანის" ყოფილ თავდამსხმელს არ განუცხადებია მომავალ გეგმების შესახებ.

1997-98 წლების სეზონის დასაწყისში სიმონემ „მილანი" დატოვა და ბედის ძიებაში პარიზს მიაკითხა. თავდაპირველად აპენინელს გაუმართლა — პსჟ კარგად თამაშობდა, მასაც ხშირად გაჰქონდა გოლები. სეზონის ბოლოს სიმონემ საფრანგეთის ლიგის თასით დაიმშვენა ხელი. ამას სხვა წარმატებებიც მოჰყვა, მაგრამ წლეულს გუნდი ღრმა კრიზისში ჩაეფლო. არა აქვს მშვინვლობა, სად თამაშობს კლუბი — შინ თუ გარეთ, იგი უმეტეს შემთხვევაში მარცხდება.

— არტურ ჟორჟე მუდამ მომავალზე გვესაუბრება. ცხადია, მომავლის იმედად ყოფნა კარგია. მე არ ვარ ბავშვი, რომ ამით მოვტყუვდე. დღესდღეობით პსჟ გუნდი არაა, ჩვენ ფეხბურთის თამაში არ გვსიამოვნებს, ეს ჩვენთვის მოვალეობად იქცა. როგორ უნდა შეიცვალოს ყოველივე, გამოსავალს ვერ ვხედავ — განაცხადა 30 წლის თავდამსხმელმა.

არტურ ჟორჟე, პსჟ-ს პორტუგალიელი მწვრთნელი, მომავლის იმედადაა, მაგრამ ფეხბურთელებს, როგორც ჩანს, დღევანდელობა უფრო აინტერესებთ. რეალობა კი ასეთი ამბიციური კლუბისთვის მძიმეა — საფრანგეთის 18-გუნდიან ჩემპიონატში პსჟ მეთერთმეტეა.

ირაკლი ილაშვილი

ბეზი მოკვდა და სასამართლოს გადაშრჩა

საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერის, „ბორდოს" დირექტორატის ოთხი ყოფილი წევრი სასამართლოს წინაშე წარსდგა. მოსალოდნელია, რომ პროცესი ნათელს მოჰფენს 80-იანი წლების მექრთამეობის სკანდალს, რომელიც, როგორც ჩანს, ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის გამომჟღავნებული.

გამოძიება, რომელიც ცხრა წლის წინ დაიწყო და ამ დღეებში სასამართლოს დარბაზამდე მივიდა, ამოცანად ისახავს, გამოიკვლიოს, საიდან დაუგროვდა იმ ეპოქის ცნობილ გუნდს 300 მილიონი ფრანკი (60 მილიონ დოლარზე მეტი). ეს თანხა 1990 წლისთვის დაგროვდა, როდესაც „ბორდოს" მაშინდელი პრეზიდენტი, კლოდ ბეზი თანამდებობას გამოეთხოვა.

ბეზი ჟირონდელთა კლუბს 12 წლის განმავლობაში ედგა სათავეში და სასამართლო პროცესზე, წესით, სწორედ იგი უნდა ყოფილიყო მთავარი მოპასუხე, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, იგი იანვარში, 58 წლისა გარდაიცვალა.

ისინი, ვინც მართლმსაჯულებამ გამოიძახა, გახლავან: ყოფილი გენერალური მენეჯერი დიდიე კუკუ, ყოფილი გენერალური მდივანი ჰერვ ბიზო და ორი აგენტი, ხორვატი ლიუბომირ ბარინი და პორტუგალიელი ლუსიო დ'ონოფრიო.

ბრალდებათა შორისაა მექრთამეობა, დოკუმენტების ფალსიფიკაცია, სატრანსფერო თანხების გაყალბება და სხვა.

პოლიციის დეკლარაციის თანახმად, „ბორდოს" დირექტორატს 33 მილიონი ფრანკი ანუ 7 მილიონი დოლარი უკანონოდ დაუხარჯავს გერმანული მოთამაშის უვე რაინდერსის, დანიელი იესპერ ოლსენის და ორი ხორვატის ზლატკო და ზირან ვუოვიჩების ტრანსფერებზე.

გამოძიებამ აგრეთვე დაადგინა, რომ ოთხი მილიონი ფრანკი ევროპის ჩემპიონთა თასის მატჩების მსაჯთა მოსაქრთამად არის დახარჯული.

საბოლოო სიტყვა სასამართლოზეა, რომელიც მოწმეთა ავადმყოფობის გამო ერთი კვირით გადაიდო.

ჯერ არა, მერე



სარგებლის არქივიდან

„რონალდომ ჩემპიონთა ლიგის მეთხედფინალში ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ შესაძლოა ვერ ითამაშოს" — ასე განაცხადა მილანის „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ.

ამ ცნობამ ინგლისელი გულშემატკივრები რომ გაახარა, თქმა არ უნდა, მაგრამ მეორე, დამწუხრებული მხარეც არსებობს. მილანელთათვის რონალდოს არყოფნა დანაკლისი იქნება, მაგრამ საეჭვოა ძალიან დიდი.

ბოლო შვიდი შეხვედრაა, რონალდოს „ინტერში" არ უთამაშია. მუხლის ტრავმა მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელს ამის საშუალებას არ აძლევს. იმავე მასიმო მორატის თქმით, რონალდომ ვარჯიში მხოლოდ ერთი დღის წინ განაახლა, მანამდე კი გამოცდილი ექიმების ზედამხედველობით წყლის პროცედურებს იღებდა და ძალოსანთა კლუბში ვარჯიშობდა.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, 3 მარტს, მილანელები „ოლდ ტრეფორდს" სტუმრობენ. ინგლისის ვიცე-ჩემპიონებს კი ორი კვირის შემდეგ, 17 მარტს „სან სიროზე" უმასპინძლებენ.

შესაძლოა, რონალდომ მაშინ ითამაშოს.

27 თებერვალი. აფრიკის თასის შესარჩევი ტურნირი. ს. აფრიკა — გაბონი

სამხრეთ აფრიკის ნაკრების კაპიტანი ლუკას რადებე დღეს ინგლისის ასოციაციის თასის გათამაშების განმეორებით შეხვედრაში ითამაშებს, მატჩის შემდეგ კი პირდაპირ იოჰანესბურგში გაფრინდება.

„ლიდს იუნაიტედის" თავკაცებმა სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელ ტროტ მოლოტოს სთხოვეს, რადებესთვის ერთ შეხვედრაში თამაშის უფლება მიეცა და მოლოტოც დაყაბულდა — რადებე ასოციაციის თასზე „ტოტენჰემის" წინააღმდეგ გაირჯება, შემდეგ კი სამშობლოსკენ გასწევს.

შაბათს სამხრეთ აფრიკა, კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი, აფრიკის თასის გათამაშების შესარჩევ მატჩში გაბონს ხვდება. „ბაფანა, ბაფანა" ამ შეხვედრისთვის გამალებით ემზადება.

ტროტ მოლოტომ გასულ შაბათს, ბოტსვანასთან მატჩში ექსპერიმენტალური შემადგენლობა ათამაშა, ოფიციალური შეხვედრისთვის კი ძირითად ფეხბურთელებს უხმო.

სამხრეთ აფრიკის ნაკრები:

მეკარეები — ბრაიან ბალუი (კაიზერ ჩიპსი); ჰანს ვონკი (ჰერენვენი, ჰოლანდია); მცველები — მარკ ფიში (ბოლტონი, ინგლისი), პიერ ისა (მარსელი, საფრანგეთი), აარონ მოკოენა (აიაქსი, ჰოლანდია), ლუკას რადებე (ლიდსი, ინგლისი); ნახევარმცველები — კუინტონ ფორტუნი (ატლეტიკო, ესპანეთი), სტივ ლეკოელეა, ტაგო მენგომენი, ჯონ მოტი (რონალდო პირატსი); უოელ მასიდედა, ჯეთრო მოჰულალა (მამელოდი სანდაუნსი), ელმან მკალელე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი), ჟოფრეი საპულა (იომო კოსმოსი); თავდამსხმელები — შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ფილ მასინგა (ბარი, იტალია), ბენედიქტ მაკართი (აიაქსი, ჰოლანდია), პოლენ ნდლენია (კაიზერ ჩიფსი).

EURO 2000 ჩვენი ჯგუფი

ნორვეგიის ეროვნული გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, საფრანგეთი 98-ის მონაწილე კიეტილ რეკდალი ფეხბურთზე მარცხნივ) უახლოესი ექვსი კვირის განმავლობაში [illegible] ამის მიზეზი მარცხენა ფეხის ტრავმაა, მას კუნთი აქვს დაჭიმული.

ბერლინის „ჰერტას" 30 წლის კაპიტანი შაბათს, „დორტმუნდთან" შეხვედრისას, მეტოქე ჰაიკო ჰერლიხთან (ფოტოზე მარჯვნივ) შეჯახებისას დაშავდა, თანაც პირველ წუთებზე. იმ მატჩში ურეკდალოდ დარჩენილმა ბერლინელებმა 3:0 გაანადგურეს მრისხანე მოწინააღმდეგე.

შიმშილი ალბანეთში

EURO 2000 ჩვენი ჯგუფი

ალბანეთის პირველი დივიზიონის გუნდი, „ბურელი", პროტესტს აცხადებს — ფეხბურთელებმა შიმშილობა გამოაცხადეს. მათი მოთხოვნაა, ფედერაციამ გაიუქმოს განაჩენი, რომლის თანახმად მათ შინ თამაში აეკრძალათ.

„ბურელი" 14 ქულით ბოლო ადგილზეა. მას ოთხი თამაშის შინ გამართვა აუკრძალეს. მიზეზი: მისი და „ტირანას" შეხვედრის დროს, დეკემბერში, სტადიონზე ავტომატმა იქუხა. გარდა ამისა „ბურელის" ორმა, ახლა დისკვალიფიცირებულმა ფეხბურთელმა, არბიტრს, მითრეზა ალკიას ხელი შეახეს.

მოშიმშილე მოთამაშეები ამტკიცებენ, რომ ავტომატის სროლა პოლიციას უნდა აღეკვეთა, ხოლო ისინი არაფერ შუაში არიან.

ფედერაციამ გუნდი გააფრთხილა, თუ კიდევ იშიმშილებთ, სანქციას გავამკაცრებთო.

აგუიარი და არა პასარელა



დანიელ პასარელა

კარლოს აგუიარი მადრიდის „ატლეტიკოს" სეზონის ბოლომდე გაწვრთნის. კლუბის ხელმძღვანელობამ თავდაპირველად მას გუნდი დროებით ჩაბარა, თავად კი ახალი მწვრთნელის ძიებაში იყო, თუმცა სასურველ კანდიდატებთან შეთანხმებას რომ ვერ მიაღწია, აგუიარის სეზონის ბოლომდე დატოვება გადაწყვიტა.

მადრიდელთა პრეზიდენტ ხესუს ხილი ხილს ძალიან უნდოდა, „ატლეტიკო" არგენტინელი დანიელ პასარელასთვის მიენდო, მაგრამ გარიგება არ შედგა. კლუბსა და მწვრთნელს შორის მოლაპარაკებები ესპანელთათვის არასასურველი შედეგით დასრულდა.

მას შემდეგ, რაც კლუბი საკუთარი განცხადების საფუძველზე არიგო საკიმ დატოვა, „ატლეტიკოს" წარმომადგენლებმა ატლანტიკის ოკეანეს გადაუფრინეს და ბუენოს აირესში, არგენტინის დედაქალაქში დანიელ პასარელას ეახლნენ. რა მიზნით, ამაზე ზემოთ ვთქვით.

მოგვიანებით თავად პასარელამ გადაუფრინა ატლანტიკის ოკეანეს და მადრიდში, პასეო ვირხენ დელ პუერტოს 67-ში, „ატლეტიკოს" კლუბს მიაკითხა. მწვრთნელი კლუბმა პატივისცემით მიიღო და გასაუბრების შემდეგ წამოჭრილი საკითხის შესათანხმებლად დღეც დანიშნა.

მოლაპარაკებები არგენტინის ნაკრების ყოფილ მწვრთნელსა და „ატლეტიკოს" თავკაცებს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა — პასარელამ მადრიდელთა წინადადება მოიწონა, მაგრამ ვადა არ ეჭაშნიკა.

— პირობები ნორმალური იყო, თუმცა მათ სურდათ, გუნდში რამდენიმე წლის მანძილზე დავრჩენილიყავი მათთან. ამ ეტაპზე მოკლევადიანი კონტრაქტი უფრო მისაღებად მიმაჩნია. სამწუხაროდ, ეს კლუბს ხელს არ აძლევდა — განუცხადა პასარელამ ჟურნალისტებს და მალე იმავე გზით დაბრუნდა სამშობლოში, რომლითაც წამოვიდა.

— ჩვენ პატივს ვცემთ ყველა მწვრთნელს, მაგრამ ხდება ხოლმე, კარგ ხელმძღვანელებთან შეთანხმებას ვერ ვაღწევთ. ასე იყო ახლაც — დანიელ პასარელა „ატლეტიკოში" არ იმუშავებს. კლუბს სეზონის ბოლომდე კარლოს აგუიარი გაწვრთნის — განაცხადა „ატლეტიკოს" გენერალურმა დირექტორმა მიგელ ანხელ ხილმა, გუნდის პრეზიდენტის ხესუს ხილი ხილის შვილმა.

პასარელასთან გარიგება არ შედგა. კარლოს აგუიარი „ატლეტიკოს" მწვრთნელად დარჩა.

უცნაური ბედის კაცია აგუიარი. თავისი კარიერის დიდი ნაწილი სწორედ „ატლეტიკოში" გაუტარებია. 1994-95 წლების სეზონში კი გუნდსაც ხელმძღვანელობდა... ათი დღით.

ახლა „ატლეტიკოს" გაცილებით დიდხანს უთავკაცებს.

ირაკლი ილაშვილი

ლატვიელები არ გვიჩივლებენ

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება, ბუნებრივია, უცხოურ კლუბებში მოთამაშე ჩვენებურებმა მიიპყრეს, ხოლო რამდენიმე მათგანს ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ კიდეც. თავდაპირველად **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲥᲐᲠᲐᲑᲐᲙᲘ** მოვიხელოთეთ, რომელიც ხანგრძლივი ტრავმების შემდეგ არცთუ ურიგოდ გამოიყურებოდა...



ᲒᲐᲓᲠᲘ ᲥᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ლევან ქარაბაკი

— ლევან, როგორც ვიცით, უკრაინული „ნეფტოხიმავალიდან“ წამოხვედით და ახლა რომელიღაც ფინურ გუნდში ირიცხებით.

— ეგრეა, დღესდღეობით ფინეთში ვთამაშობ. ქალაქ იუვასკულას „ვეიკოტში“, თუმცა უკრაინიდან საბოლოოდ არ წამოვსულვარ.

— ეგ როგორ გავიგოთ?

— ფინეთში ჩემპიონატი 15 მარტს მთავრდება. მოლაპარაკების საფუძველზე შემდეგ ისევ უკრაინაში უნდა ჩავიდე და „ნეფტოხიმავალს“ შევუერთდე, მაგრამ ეს პერსპექტივა არცთუ ძალიან მხიბლავს.

— აბა, ისევ ფინეთში გირჩევნიათ?

— არა, არც მანდ... იცით რა, ჯერ მეც ვერ გადამიწყვეტია, სად ვითამაშო. არის რაღაც ვარიანტები და შეიძლება სულ მალე გაცილებით ძლიერ გუნდში აღმოვჩნდე.

— თვითონ ფინურ კალათბურთზე რას გვეტყვით, ანდა სულაც იქ როგორ მოხვდით?

— ფინეთში ადრეც მითამაშია. მაშინ „კუიპიოში“ გამოვდიოდი, რომელსაც ესტონელი ხეინოლილი წვრთნიდა. ეს კაცი ახლა „ვეიკოტს“ თავკაცობს და სწორედ მან მიმიწვია. დონე არცთუ მაღალია, თუმცა პირობებია ნორმალური.

— სულ რამდენი მატჩი ჩაატარეთ?

— ზუსტად აღარ მახსოვს, თუმცა საკმაოდ მომიწია თამაშმა.

— ბოლო ორი წელია, ფეხმა გაგაწამათ, ახლა როგორაა საქმე?

— გაცილებით უკეთ. შეიძლება ითქვას, ფეხი აღარც მაწუხებს, თუმცა ყოველივე ხანგრძლივ მკურნალობად დამიჯდა.

— ჩვენი ბოლო შეხვედრისას, შარშანდელ დეკემბერს, უარი განაცხადეთ ეროვნულ გუნდში თამაშზე. დღეს კი აქ ხართ...

— ამ საკითხზე მერეც ძალიან ბევრი ვიფიქრე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ მე, როგორც ქართველს, უფლება არ მაქვს, ნაკრებში თამაში ვიუარო, თანაც ვგრძნობ, რომ გუნდს ვჭირდები.

— ლევან მოსეშვილზე გამწყრალი იყავით, თუ არ ვცდები, მას შემდეგ, რაც ჩეხეთის გუნდთან არ გათამაშათ. ქარაბაკს და ნაკრების მწვრთნელს შორის კონფლიქტი დასრულდა?

— ამას კონფლიქტს ვერ დავარქმევ, უბრალოდ, წყენა იყო. მე ძალიან ამბიციური ვარ და შეიძლება ამიტომაც ვერ შევთანხმდით, თუმცა ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა. დღეს მეც და მოსეშვილიც ერთად ვართ და იმედია, ასეც იქნება.

ეროვნული ნაკრებისა და სლოვენიური „პოსტოინას“ თავდამსხმელი **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲝᲘᲡᲐ** დაღლილი ჩანდა. ეტყობა, ლატვიელებთან შეხვედრისას ეროვნული გუნდის ხელმძღვანელები მასზე დიდ იმედს ამყარებენ და ვოვაც მთელი მონდომებით ცდილობდა თანაგუნდელებთან შეთამაშებას. თუმცა ეტყობოდა, სპორტის სასახლეში გამეფებულ აუტანელ სიცივეს შეეწუხებინა და ვარჯიშის დამთავრების შემდეგ მხოლოდ რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხა:

— სლოვენიიდან გუშინ ჩამოვედი. 28-ში იტალიასთან შეხვედრის შემდეგ კი უკან გავბრუნდები.

— როგორ შეეგუეთ „პოსტოინას“?

— მშვენივრად. ახალგაზრდული კლუბია, ყველაზე ასაკოვანი 27 წლისაა, უმცროსი კი მე ვარ. გუნდის საშუალო ასაკი 23 წელია. ბიჭებთან ჩინებული ურთიერთობა მაქვს, მწვრთნელიც კარგი თვალით მიყურებს, თამაშიც ხშირად მიწევს. სლოვენიის ჩემპიონატში მე-7 ადგილზე ვართ, წამოსვლამდე ორი მნიშვნელოვანი შეხვედრა მოვიგეთ და მეც კარგად ვითამაშე.

— ლუბლიანას „ოლიმპიას“ საკუთრება ხართ... ახლა კი შედარებით სუსტ გუნდში თამაშობთ...

— „ოლიმპიასთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული. ამ ეტაპზე „ოლიმპიაში“ სათამაშოდ მზად არა ვარ და გამანათხოვრეს. „პოსტოინა“, შეიძლება ითქვას, „ოლიმპიას“ საბაზო გუნდია, ხშირად აქედან მიჰყავთ კალათბურთელები. როცა მოვემზადები და „ოლიმპიასაც“ დავჭირდები, ალბათ, დამიძახებენ.

— სლოვენიაში სტეფანიაზე რას ამბობენ?

— პრესაში ხშირად ახსენებენ ვოვას. „ოლიმპიას“ მის გარეშე მეოთხედფინალში უეჭველად გაუჭირდებაო.

— ახლა ლატვიელებთან შეხვედრაზეც ვთქვათ. სახვალიოდ როგორი განწყობილება გაქვთ და საერთოდ, როგორ ფორმაში ხართ?

— უეჭველია, მეტოქე ძლიერია, თანაც ჩვენზე უკეთეს პირობებში უწევს ვარჯიში და თამაში. ჩვენი ბიჭებიც მზად არიან საბრძოლველად, ყველაფერს გავაკეთებთ გამარჯვებისათვის. ეს შანსიც თუ გავუშვით ხელიდან, მერე იტალიასთან მოგება ხომ უფრო გაჭირდება, თუმცა ლატვიელებმა შეძლეს მათი ძლევა. რაც სლოვენიაში წავედი, ფიზიკურად მოვუმატე. ჩვენი და მათი წვრთნა სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ბევრი სიახლეც გავიგე და საერთოდ, კარგ ფორმაში ვარ. თუ თამაში წაგვივიდა, ყველასთან შეიძლება ბრძოლა და მოგება.

ᲒᲐᲓᲠᲘ ᲥᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ვლადიმერ ბოისა

ქართველებზე და მათ წინასამატჩო განწყობაზე საუბარს აქ დავამთავრებთ, ახლა კი დღევანდელ მეტოქეს, ლატვიის გუნდს გაგაცნობთ.

ბალტიისპირელები თბილისს გუშინ გამთენიისას რიგა-ლონდონ-თბილისის ავიარეისით ჩამოფრინდნენ და სასტუმრო „აჭარაში“ დაბინავდნენ. საღამო ხანს კი სპორტის სასახლის სარბიელიც მოსინჯეს. თავი დიდად არ მოუკლავთ, მთავარმა მწვრთნელმა ზელტიჩმა მსუბუქად წაავარჯიშა თავისი შეგირდები.

60 წელს გადაცილებული ლატვიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ᲘᲐᲜᲘᲡ ᲖᲔᲚᲢᲘᲩᲘ** 1960-66 წლებში რიგის ვეფ-ში თამაშობდა. იგი თანაზიარია ლატვიელთა წარმატებისა: 1966 წლის სსრკ-ს ჩემპიონატის დასკვნით ტურში, რომელიც თბილისში ჩატარდა, რიგელებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. 70-იანების დასაწყისიდან 1988 წლამდე ლატვიის სხვადასხვა გუნდს თავკაცობდა. შემდეგ კი ქალთა ნარების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. 1994 წლიდან ზელტიჩი კვლავ ვაჟთა კალათბურთს დაუბრუნდა.

— პირველი წრის შემდეგ გუნდის მთავარი მწვრთნელის ვალდის ვალტერსის ნაკრებიდან წასვლა რამ განაპირობა? ხუთიდან ერთადერთმა მოგებამ ხომ არა, რომლის გამოც თქვენმა გუნდმა ჩვენთან ერთად ფინალურ ეტაპზე მოხვედრის ყოველგვარი შანსი დაკარგა?

— ვალტერსი ავარჯიშებდა ახალგაზრდულ ნაკრებსაც, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვა. გარდა ამისა, იგი მარჩულიონისთან ერთად ჩრდილოეთის საკალათბურთო ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებელია, სადაც ჩვენი ქვეყნიდან „ბროცენი“ და „ვენტსპილსი“ მონაწილეობენ. რადგან ახალგაზრდული ნაკრების წარმატების შემდეგ ვალტერსს სამუშაო მოემატა, მან ეროვნულ ნაკრებში მუშაობაზე უარი განაცხადა.

— თქვენი მისვლის შემდეგ ნაკრებში რაიმე თუ შეიცვალა?

— ვალტერსი აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებდა. ჩემი აზრით კი მოთამაშის ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ვინც ძლიერია, ნაკრებშიც ის ითამაშებს.

— თბილისში ძველ და ახალ თაობათა ყველა უძლიერესი კალათბურთელით ჩამოხვედით?

— თითქმის.

— თუ პირველ წრეში 36 ქულის სხვაობით მოგვიგეთ და თანაც გაახალგაზრდავებული გუნდით, ვეტერანებით გაძლიერებული ნაკრებით უფრო იოლ გამარჯვებას ხომ არ გელოდათ?

— მე ვიცი ქართველების ხასიათი, ისიც, რომ საკუთარ მოედანზე განსაკუთრებით ძლიერად თამაშობენ. აქედან გამომდინარე, ძნელი მატჩი გველის და წინასწარ რაიმეს თქმა მიჭირს. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ თუ დავმარცხდით, 36 ქულის სხვაობით არ წავაგებთ.

— თქვენ თბილისის სპორტის სასახლის გაუმთბარ დარბაზში მოგიწევთ ასპარეზობა. შეგიძლიათ, თამაშზე უარი თქვათ და გამარჯვება უბრძოლველად მოიპოვოთ...

— ჩვენ კალათბურთის სათამაშოდ ჩამოვედით და არა პრეტენზიების წამოსაყენებლად. მართალია, ძალიან ცივა, მაგრამ სათამაშო პირობები ხომ ორივე გუნდისთვის ერთნაირი იქნება. ისე, რომ შეიძლებოდეს, აჯობებდა, ღია ცის ქვეშ გვეთამაშა, რადგან ქუჩაში ბევრად უფრო თბილა, ვიდრე დარბაზში. ჩვენთან კი პირიქითაა.

— ჩვენი ნაკრებისთვის დარჩენილი მატჩები პრესტიჟისღაა. თქვენთვის თუ აქვს რაიმე მნიშვნელობა?

— ჯერ კიდევ გვაქვს მე-4 ადგილზე გასვლის შანსი, რაც მომდევნო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის გარეშე თამაშის უფლებას იძლევა. ამისათვის ბოლო შეხვედრაში აუცილებლად უნდა დავამარცხოთ ძირითადი კონკურენტები — შვედები.

— ევროპის ვიცე-ჩემპიონების, იტალიელების ძლევის შემდეგ თქვენი თურქებთან დამარცხება ასე თუ ისე მოსალოდნელი იყო, ჩეხებთან შინ წაგებას კი რით ახსნით?

— თურქების სტუმრად დამარცხება ძალიან ძნელია, მაგრამ ჩვენი წარუმატებლობა იმანაც განაპირობა, რომ ძალიან ცუდად მიგვიღეს. რაც შეეხება ჩეხებთან წაგებას, ვერაფრით შევძელით ზიდეკის ნეიტრალიზება, რომლის საუცხოო თამაშმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი.

ᲒᲐᲓᲠᲘ ᲥᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

იანის ზელტიჩი

— ლატვიის ეროვნული ჩემპიონატის შესახებ რას გვეტყვით? პროფესიული ლიგა გაქვთ თუ...

— ჩვენს პირველობაში მონაწილეობს 10 გუნდი, რომელთაგან „ბროცენი“ და „ვენტსპილსი“ პროფესიული კლუბებია. დანარჩენი გუნდებიდან ზოგი ნახევრად პროფესიულია, ზოგიც სამოყვარულო. გუნდები ძირითადად ახალგაზრდა კალათბურთელებით არიან დაკომპლექტებული.

— თქვენ დიდი სითბოთი გიხსენეთ თბილისი, სადაც საუკეთესო მატჩი ჩაგიტარებიათ. იმ თაობის ქართველ კალათბურთელებს თუ გაიხსენებთ?

— არასდროს დამავიწყდება ტანმორჩილი ლევან ინწკირველი. მე რომ ვიწყებდი, იგი სწორედ მაშინ ანებებდა თავს აქტიურ სპორტს. ჩვენ კოლეგები ვიყავით, უკანა ხაზის მოთამაშეები. ასევე კარგად მახსოვს გურამ მინაშვილი და ვლადიმერ უგრეხელიძე.

მთავარ მწვრთნელთან საუბრამდე კიდევ ერთ ლატვიელთან გამოლაპარაკების საშუალება მოგვეცა. ნაკრების თავდამსხმელი **ᲐᲒᲐᲠᲡ ᲖᲔᲘᲓᲐᲙᲡᲘ** სკამიდან ადევნებდა თვალს თანაგუნდელების ვარჯიშს. როგორც შემდეგ გაირკვა, ამის მიზეზი მტკივანი მუხლი ყოფილა.

— ტრავმა თუ გქონდათ, აქ რაღას მოდიოდით?

— სერიოზული არაფერია. ოღნავ მუხლი მაწუხებს და იმედი მაქვს, ხვალისთვის მზად ვიქნები. ყოველ შემთხვევაში, ექიმი მიამეტებს...

— სად დაშავდით?

— წამოსვლის წინა დღეს ადგილობრივ გუნდ „ლაინერსს“ ამხანაგურად გავეჯიბრეთ. არცთუ ძლიერი გუნდია და საგანგებოდ ავირჩიეთ, რომ ტაქტიკური ცოდნა შეგვემოწმებინა. კომბინაციები ვამუშავეთ, თუმცა ბედი არ გინდა... ერთ-ერთი ორთაბრძოლისას მუხლი ვიტკინე.

ჩემი ნება რომ იყოს, ახლაც ვივარჯიშებდი, მაგრამ ზელტიჩი არ მანებებს, ფრთხილობს, რომ არ გამიმიზეზდეს.

— ყურადღებიანი კაცი ყოფილა. სხვას რას იტყოდით მასზე?

— ბრწყინვალე სპეციალისტია. ეს აქამდეც ვიცოდი, მაგრამ რაც იგი გვავარჯიშებს, ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი. თანაც მისი ხელმძღვანელობით ხომ თვით იტალია დავამარცხეთ. ვფიქრობ, ესეც მის კვალიფიკაციაზე მეტყველებს.

ჰო, მართლა, იტალიელებთან ზელტიჩი თავის პირველ ოფიციალურ მატჩს ატარებდა, მოვიგეთ და პრესატელევიზიამაც ატეხა ერთი ამბავი, თითქმის ყველა გაზეთი ასეთი შინაარსის სათაურებით აჭრელდა: „ოქრო ზელტიჩი“, „იანის ზელტიჩი ბაკაღლო ყოფილა“ და ასე შემდეგ. საქმე ისაა, რომ „ზელტ“ ჩვენებურად ოქროს ნიშნავს.

— სამხიარულო ისტორიაა... ზელტიჩი, ალბათ, ქართველების დამარცხებით რეპუტაციის ამაღლებასაც გეგმავს, ბოლო-ბოლო, გვარს გამართლებაც უნდა, თავად რას ფიქრობთ ქართველებთან მატჩზე, ანდა რა იცით ჩვენს კალათბურთზე?

— თბილისში ადრეც ვყოფილვარ რიგის ვეფ-ში თამაშისას, თუმცა მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და შემადგენლობაში ვერ ვხვდებოდი. მახსოვს, კარგი გუნდი გყავდათ. „დინამოს“ იმ თაობის კალათბურთელებიდან დერიუგინი და დარსაძე დამამახსოვრდა ყველაზე მეტად. ისე, სხვებიც ვიცი, შენგელიას პირისპირ მითამაშია არაერთხელ და აქ რომ ვერ ვნახე, ძალიან გამიკვირდა. სტეფანიაც გამიგია, კარგი ბიჭიაო, აქებენ, თუმცა არასდროს შევხვედრივარ. თავად მატჩი, ვფიქრობ, დაძაბული იქნება, შანსებსაც დაახლოებით თანაბრად შევაფასებდი. ერთი სიტყვით, ყველაფერი ხვალ გამოჩნდება.

ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲑᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲚᲐᲑᲣᲩᲘᲫᲔ



ᲒᲐᲓᲠᲘ ᲥᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

დღეს გუნდები ასეთი შემადგენლობებით ითამაშებენ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:		
ირაკლი ხოშტარია	უკანახაზი	დინამო
მამუკა აბრამიძე	უკანახაზი	ვითა
ირაკლი მაისურაძე	უკანახაზი	ნეფტოხიმავალი, უკრაინა
გიორგი გაგნიძე	უკანახაზი	სტუ
რევაზ ჩხეიძე	უკანახაზი	ჰაიფა, ისრაელი
ვასილ ოთიურიძე	თავდამსხმელი	სტუ
ლევან ქარაბაკი	თავდამსხმელი	ვეიკოტი, ფინეთი
ვლადიმერ ბოისა	თავდამსხმელი	პოსტოინა, სლოვენია
ირაკლი ჯაფარიძე	ცენტრი	აზოტი
დავით ბერძენიშვილი	ცენტრი	სლოვაკოფარმა, სლოვაკეთი
ᲚᲐᲢᲕᲘᲐ:		
რაიმონდს მიგლინიეკსი	უკანახაზი	ზეპერშლაკი, პოლონეთი,
რობერტს შტელმაჰერსი	უკანახაზი	დალას ზასტალი, პოლონეთი
აიგარს ვიტუოლსი	უკანახაზი	ვენტსპილსი
ედგარს შნეპსი	უკანახაზი	ბროცენი
აინაარს ბაგავსკისი	თავდამსხმელი	ერიქსონ ბობრი, პოლონეთი
აგარს ზეედაკსი	თავდამსხმელი	ვენტსპილსი
უვის ჰელმანისი	თავდამსხმელი	ბროცენი
არნოს ვეცვაგარსი	თავდამსხმელი	ბროცენი
იანი ლაკსა	ცენტრი	ვენტსპილსი
აიგარს ბერნაასი	ცენტრი	ვენტსპილსი

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

ქინი, ქამეკო, ქინი...



REUTERS დენვერიდან

დენვერი — ლეიკერსი. დენვერელმა რიფ ლაფრენცმა ლეიკერსელი შაკილ ონილი (ბურთით) ოვერტაიმამდე შეიწირა

22 თებერვალი

დენვერი 117:113 ლეიკერსი

(ძირითადი დრო 102:102)

დენვერი: ვან ექსელი (16 ქულა, 13 პასი), ბილაფსი (20), ვაშინგტონი (16), მაკდაიესი (22 ქულა, 16 მოხსნა), ლაფრენცი (20); ფორსტონი (16 ქულა, 11 მოხსნა), ალექსანდერი (3), ვილიამსი (2), კლარკი (2)

ლეიკერსი: ჰარპერი (5), ჯონსი (17), ბრაიანტი (26 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი), ნაითი (4), ონილი (28); კემპბელი (24), ფიშერი (4), რუქსი (3), ფოქსი (2), ბლაუნტი

აბა, სად ლეიკერსი და სად დენვერი. თითქოს უზარმაზარი განსხვავებაა ამ ორ დასავლურ გუნდს შორის, რომელთაგან პირველმა წინა სეზონის 82 შეხვედრიდან 61 მოიგო, მეორემ კი მთელი 50-ით ნაკლები. მაგრამ ეს შარშან იყო, ახლა კი მართალია, ვითარება შეიცვალა და ახალ სეზონს ცვლილებებით შეხვდნენ გუნდები, მაგრამ მაინც ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ დენვერი ლეიკერსს ამგვარ წინააღმდეგობას გაუწევდა და მოუგებდა კიდეც. სეზონის წინ ლეიკერსმა გუნდიდან გაუშვა ძირითადი გამთამაშებელი და 1998 წლის ოლსტარნათამაშევი ნიკ ვან ექსელი. ამჟამად ამ ამპლუაში ლოსანჯელესელებს ორი მოთამაშე ჰყავთ — დერიკ ფიშერი და დერიკ ჰარპერი. ეს უკანასკნელი ვეტერანია და მართალია, ჯეელობაში ურიგოდ არ ირჯებოდა, მაგრამ ახლა ამ დარბაისელ კაცს, რომელსაც საუკეთესო წლები უკან დარჩენია, ძველებურად ჯანი აღარ მოსდევს. რაც შეეხება ფიშერს, იგი მხოლოდ შემცვლელად თუ ივარგებს.

ლეიკერსი ნაკლულ ჩემპიონატში დიდი ამბიციებით ჩაება, მაგრამ ჯერჯერობით 11 თამაშიდან 5-ის წაგება მოასწრო, მაშინ, როცა წინა სეზონის დასაწყისში ზედიზედ მოიგო 11. წლეულს ლეიკერსს აკლია რაღაც, იქნებ სწორედ ნიკ ვან ექსელის ჟინი და სულისვეთება, ახლა დენვერს რომ ასხამს ფრთებს. დენვერის წარმატებებზე ლაპარაკი ჯერ, რა თქმა უნდა, ნაადრევია, გუნდმა ათ შეხვედრაში მეორედ მოიგო, მაგრამ უდავოა, რომ „ნაგიტსი“ აღარაა ის კლუბი, შარშან თამაშის მოგება ლამის ოცნებად რომ ჰქონდა გადაქცეული.

სტატისტიკის მიხედვით, ვან ექსელს თავი არაფრით გამოუჩენია, პირიქით, თამაშიდან ძირითად დროში 12-ჯერ ისროლა და მხოლოდ ერთი (!) ჩაადგო. და მაინც ეს შეხვადრა მან მოიგო. „ის ჩვენი ლიდერია — თქვა დენვერის მთავარმა მწვრთნელმა მაიკ დანტონიმ — მან 16-დან 3 ჩაადგო, მერე რა მოხდა! მისმა მონდომებამ აიყოლია ბიჭები და ისინი გამარჯვებისთვის განაწყო. აი, ეს არის მთავარი.“ სწორედ ვან ექსელის თავგამოდებამ დააძლევინა მასპინძელ გუნდს ათქულიანი ჩამორჩენა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. აქ კი ნიკის ანგარიშზე მისი მთლიანი მონაგრის ნახევარი — რვა ქულაა. მან და ახალბედა რიფ ლაფრენცმა (6 ქულა ოვერტაიმში), რომელმაც ძირითად დროში შაკილ ონილი გააწამა და ამნაც ექვსი საჯარიმოს გამო ოვერტაიმი გამოტოვა, ძირითადი დროის დაწყებისთანავე დააწინაურეს თავიანთი გუნდი და ლეიკერსს პირში ჩალა გამოავლეს.

კლივლენდი 97:106 ფილადელფია

კლივლენდი: ანდერსონი (28 ქულა, 10 პასი), კემპი (23)

ფილადელფია: აივერსონი (37)

ფილადელფიას კლივლენდში ზედიზედ შვიდი თამაში არ ჰქონდა მოგებული, სულ კი მასთან ბოლო 29 შეხვედრაში მხოლოდ სამჯერ გაიხარა წარმატებით და ახლა იქაურ „კავალერსს“ იმ იმედით ესტუმრა, რომ ნავსს გატეხავდა. სტუმრებს ისიც უწყობდათ ხელს, რომ კლივლენდმა ძირითადი ხუთეულის ორი წევრი — ცენტრი ჟიდრუნას ილგაუსკასი და მსროლელი ვესლი პერსონი მოისაკლისა. ადგილი შესაბამისად ვიტალი პოტაპენკომ და დერიკ ანდერსონმა დაიკავეს, მაგრამ თუ ანდერსონმა ამ სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა, პოტაპენკომ (2 ქულა) სულ შეირცხვინა თავი — თამაშში ექვსი სროლიდან ყველა აცილა და მალე შესაცვლელი შეიქნა. უცენტრო კლივლენდს კი იოლად გაუმკლავდნენ მეტ გეიგერი (18 ქულა) და ალენ აივერსონი, რომელმაც ამ სეზონში მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა, შეხვედრის შემდეგ კი გახარებულმა კლივლენდის გულშემატკივრებს გადაუხადა მადლობა — ესენი რომ თავის გუნდს ქომაგობდნენ, მათ ჯიბრზე კარგად ვითამაშეო (!). კლივლენდმა კი ამ მარცხით შეწყვიტა ხუთმატჩიანი მოგების სერია.

ორლანდო 107:96 საკრამენტო

ორლანდო: ანდერსონი (30), ჰარდეევი (23)

საკრამენტო: ვებერი (20 ქულა, 13 მოხსნა)

საკრამენტოს მასპინძელ გუნდთან თავისი ძლევამოსილი თავდასხმის იმედი ჰქონდა, რომელსაც კრის ვებერი თავკაცობს, მაგრამ საკრამენტოელ წინა ხაზს ორლანდოელთა უკანა ხაზმა აჯობა, თან ისე, ბევრი პრობლემა არ გასჩენია. ძირითადებმა ნიკ ანდერსონმა და ანფერნი ჰარდეევიმ, მათთან ერთად სათადარიგო დარელ არმსტრონგმა (13 ქულა, 11 პასი) თავიანთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს ამ სეზონში და პირწმინდად დაჩაგრეს საკრამენტოს მცველები. განსაკუთრებით ახალბედა ჯეისონ ვილიამსი გაამაბურეს, რომელმაც ამ სეზონში ყველაზე ცოტა — 7 ქულა მოაგროვა. ორლანდო მხოლოდ პირველ მეოთხედში აგებდა, მაგრამ ნახევარი 59:56 მოიგო და შემდეგ კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა.

ატლანტა 68:77 ჩიკაგო

ატლანტა: ჰენდერსონი (16 ქულა, 15 მოხსნა)

ჩიკაგო: ბრაიანტი (16)

უეჭველია, რომ უძლეველი ჩემპიონი „ჩიკაგო ბულზი“ ახალ სეზონს ერთობ დასუსტებული შეხვდა და ახალი სეზონიდან ბევრი-ბევრი, რაც შეიძლება მოიმკოს, მის რვაგუნდიან დივიზიონში მეექვსე ადგილზე დამკვიდრება იქნება. ასეთი უფერული სტარტი ჩიკაგოელებს შორიულ 1978 წლიდან არა ჰქონიათ. გუნდმა ცხრა შეხვედრიდან რვა წააგო, აქედან შვიდი ზედიზედ და მხოლოდ კლიპერსს აჯობა, ვისაც ჯერ ერთი თამაშიც კი არ მოუგია. ჩიკაგოს გამარჯვების დიდი შანსი არც იმდღევანდელ მეტოქე ატლანტასთან ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ამ სეზონში უკვე მოასწრო ჯორჯიულ გუნდთან წაგება, ისიც შინ, ახლა კი მოულოდნელად სტუმრად მოიგება მოახერხა. იქნებ ეს იმიტომაც მოხდა, რომ ატლანტას არ ჰყავდა უპირველესი ბომბარდირი სტივ სმიტი. მის გარეშე გუნდმა შეტევაში ხეირიანი ვერაფერი შექმნა და ოდენ 68 ქულას დასჯერდა.

ფინიქსი 101:83 დალასი

ფინიქსი: ჩეპმენი (18)

დალასი: სებალოსი (21)

დალასი მისმა ყოფილმა მოთამაშემ ჯეისონ კიდმა გატეხა. მაშინ, როდესაც ნბა-ს ახალ სეზონში ჯერ ვერავის შეუსრულებია სამმაგი დუბლი, კიდმა დალასთან 17 ქულა, 12 პასი და 10 მოხსნა მიითვალა, რაც წლეულს უკვე მესამედ შეძლო. დალასმა კი, რომლის ძირითადი ხუთეულის ერთბაშად ოთხ კაცს — სებალოს, გრინს, ფინლის (17 ქულა მატჩში) და ნეშს (1 ქულა) ფინიქსში უთამაშია, მასპინძელს ვერაფერი დაუპირისპირა და მეცხრე მარცხიც იწვნია.

იუტა 104:89 კლიპერსი

იუტა: მელოუნი (20 ქულა, 10 მოხსნა)

კლიპერსი: ტეილორი (17)

კლიპერსი უსუსურ გუნდებს ვერ უგებდა და ძლევამოსილ იუტას რაღას დააკლებდა. კვლავ შეირცხვინა თავი დრაფტის პირველმა ნომერმა მაიკლ ოლოვოკანდიმ და ექვს ქულას დასჯერდა, მისი კლიპერსი კი პირველიდან ბოლო წუთამდე აგებდა.

მინესოტა 95:89 სან ანტონიო

მინესოტა: მიტჩელი (17)

სან ანტონიო: ჯონსონი (20), რობინსონი (17 ქულა, 17 მოხსნა)

როგორც იქნა, გამოცოცხლდა სან ანტონიოს ლიდერი დევიდ რობინსონი, თუმცა ამჯერად თამაში ჩააგდო ტიმ დანკანმა, რომელმაც 40 წუთში მხოლოდ 10 ქულის დაგროვება მოახერხა. მიუხედავად ამისა, სან ანტონიოს შეეძლო მოგება, იგებდა კიდეც ბოლო მეოთხედის დასაწყისში, მაგრამ აქ გაილაღა მასპინძელთა ვეტერანმა, სათადარიგო სემ მიტჩელმა. მან ამ მონაკვეთში რვა ქულა მიითავალა, რასაც სან ანტონიომ ბევრი ვერაფერი დაუპირისპირა.

ირაკლი ფირაშვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	წ	%
ორლანდო	9	2	81,8
მაიამი	6	3	66,7
ნიუ იორკი	6	3	66,7
ფილადელფია	5	5	50,0
ვაშინგტონი	4	4	50,0
ბოსტონი	3	5	37,5
ნიუ ჯერსი	2	7	22,2
ცენტრალური დივიზიონი			
ინდიანა	7	3	70,0
მილუოკი	5	3	62,5
ატლანტა	6	4	60,0
კლივლენდი	5	4	55,6
დეტროიტი	4	6	40,0
ტორონტო	3	5	37,5
ჩიკაგო	2	8	20,0
შარლოტი	1	7	21,5

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი			
იუტა	9	1	90,0
მინესოტა	8	2	80,0
ჰიუსტონი	6	4	60,0
სან ანტონიო	5	6	45,5
ვანკუვერი	3	6	33,3
დენვერი	2	8	20,0
დალასი	2	9	18,2
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
სიეტლი	7	2	77,8
პორტლენდი	6	2	75,0
ფინიქსი	6	4	60,0
ლეიკერსი	6	5	54,5
საკრამენტო	5	5	50,0
გოლდენ სტეიტი	4	6	40,0
კლიპერსი	0	8	0

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისის თასის მერვედფინალი. გადათამაშება

24 თებერვალი

ბლეკბერნი — ნიუკასლი	2,3	2,8	2,9
დერბი — ჰადერსფილდი	1,2	5,0	9,0
ტოტენჰემი — ლიდსი	2,2	2,8	3,1

ესპანეთის თასის მეოთხედფინალი.

საპასუხო მატჩები

24 თებერვალი

ესპანიოლი — ატლეტიკო	2,2	2,8	3,1
დეპორტივო — მალიორკა	1,9	2,8	3,8
ვალენსია — ბარსელონა	2,5	2,8	2,6

საფრანგეთის ჩემპიონატი

25 თებერვალი

მონპელიე — მონაკო	2,3	2,8	2,9
მარსელი — სტრასბური	1,2	5,0	9,0
ნანტი — ბორდო	2,5	2,8	2,6
პსჟ — ლიონი	2,3	2,8	2,9

ჰოლანდიის ჩემპიონატი

24 თებერვალი

სიტარდი — ტილბურგი	2,5	2,9	2,5
ბრედა — გრაფსხაპი	2,0	2,9	3,4
ფეინოორდი — ვალვაიკი	1,15	5,6	10,0

ჰოკეი. NHL

24 თებერვალი

ტორონტო — კაროლინა	1,35	4,4	3,6
ვაშინგტონი — ფინიქსი	2,1	4,4	1,9
ფლორიდა — ფილადელფია	2,2	4,4	1,8
დეტროიტი — ლოს ანჯელესი	1,3	4,4	4,0
სენტ ლუისი — ჩიკაგო	1,3	4,4	4,0
კალგარი — ბუფალო	2,0	4,4	2,0
ედმონტონი — ანაჰაიმი	1,9	4,4	2,1
დალასი — ნეშვილი	1,15	4,4	5,6
სან ხოსე — ვანკუვერი	1,5	4,4	3,0

25 თებერვალი

ბოსტონი — ნიუ ჯერსი	2,1	4,4	1,9
ოტავა — მონრეალი	1,3	4,4	4,0
ალენდერსი — ტორონტო	2,2	4,4	1,8
კოლორადო — პიტსბურგი	1,9	4,4	2,1

კალათბურთი. NBA

24 თებერვალი

ბოსტონი — ორლანდო	2,0	12,0	1,5
ფილადელფია — საკრამენტო	1,5	12,0	2,0
ინდიანა — ტორონტო	1,3	12,0	2,8
ნიუ ჯერსი — პორტლენდი	2,3	12,0	1,4
შარლოტი — მაიამი	2,3	12,0	1,4
დეტროიტი — კლივლენდი	1,5	12,0	2,0
სან ანტონიო — სიეტლი	1,7	12,0	1,7
დენვერი — იუტა	4,0	12,0	1,15

25 თებერვალი

ვაშინგტონი — საკრამენტო	1,5	12,0	2,0
ნიუ იორკი — მინესოტა	1,6	12,0	1,8
კლივლენდი — ინდიანა	1,6	12,0	1,8
ჩიკაგო — ფილადელფია	1,8	12,0	1,6
დალასი — დენვერი	1,5	12,0	2,0
ჰიუსტონი — ატლანტა	1,4	12,0	2,3
ვანკუვერი — ფინიქსი	1,7	12,0	1,7
კლიპერსი — ლეიკერსი	4,0	12,0	1,15

ჩემპიონთა თასი

ინტერი	2,5
იუვენტუსი	2,5
მანჩესტერი	3,0
ბაიერნი	4,0
რეალი	5,0
კაიზერსლაუტერნი	10,0
დინამო	10,0
ოლიმპიაკოსი	50,0

თასების თასი

ლაციო	2,0
ჩელსი	2,0
მალიორკა	3,0
ლოკომოტივი	8,0
მაკაბი	15,0
ვარტექსი	50,0
ვალერენგა	50,0
პანიონიოსი	50,0

უეფას თასი

რომა	3,0
პარმა	3,0
მარსელი	4,0
ბორდო	5,0
სელტა	5,0
ბოლონია	5,0
ატლეტიკო	6,0
ლიონი	10,0

ინგლისი

მანჩესტერი	1,5
ჩელსი	2,0
არსენალი	2,5

გერმანია

ბაიერნი	1,01

იტალია

ფიორენტინა	1,8
ლაციო	1,8
ინტერი	2,5
მილანი	5,0
პარმა	5,0
იუვენტუსი	7,0

საფრანგეთი

მარსელი	1,4
ბორდო	2,0

ბელგია

ბრიუგე	1,3
გენკი	2,0

თურქეთი

გალათასარაი	1,4
ფენერბაჰჩე	2,0
ბეშიქთაში	3,5

შვეიცარია

სერვეტი	1,8
გრასჰოპერი	1,8
ცურიხი	2,5
ლოზანა	4,0

აუსტრია

შტურმი	1,7
რაპიდი	2,0
გრაცერი	4,0
ლინცერი	8,0

პოლონეთი

ვისლა	1,1
ლეგია	4,0
ლეხი	8,0
გურნიკი	8,0
ვიძეევი	8,0

ესპანეთი

ბარსელონა	1,2
რეალი	2,0
მალიორკა	2,5
ვალენსია	6,0
სელტა	6,0
დეპორტივო	6,0

პორტუგალია

პორტუ	1,3
ბენფიკა	2,2
ბოავიშტა	6,0
სპორტინგი	8,0

პოლანდია

ფეინოორდი	1,05
აიაქსი	4,0
ვიტესი	5,0
ეინდჰოვენი	7,0

შოტლანდია

რენჯერსი	1,1
სელტიკი	4,0

ნებისმიერი კონკრეტული გუნდი, რომელიც სიაში მოხსენიებული არ არის — 10,0

ევროთასების მფლობელთა და ქვეყნების ჩემპიონთა კოეფიციენტებზე ფსონები მიიღება სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ჩვენ მთიულიშვილიც გამოგვაკლდა, სამაგიეროდ, ტონგელებს ხუთი კაცი გაექცათ

შაბათს, გამთენიისას, ფიჯიში გაგზავრებულმა ბორჯღალოსნებმა 35-საათიანი ფრენის შემდეგ მშვიდობიანად ჩააღწიეს კუნძულზე, სადაც ტონგელებთან 6 მარტს შესახვედრად მოემზადებიან. სამწუხაროდ, ქართველ მორაგბეებს ტონგაში სათამაშოდ მევლუდ მთიულიშვილი ვერ გაჰყვებათ. საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მას თვალი დაუზიანებია და როგორც შემდგომ გაირკვა, იმდენად სერიოზულად, რომ ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს. ეს უკვე მესამე ბორჯღალოსანია, რომელიც ნაკრებს ტრავმის გამო გამოაკლდა. მანამდე, გახსოვთ, ალბათ, მაჩიტიძე და იურინი დაშავდნენ. მთიულიშვილის ნაცვლად, ნაკრების თავკაცთა გადაწყვეტილებით, ტონგელებს ყოფილი ყოჩი სანდრო ესაკია შეერკინება. ქართველთა დასაზვერად მეტოქეს ფიჯიში თავისი კაცი გაუგზავნია. იგი ნაკრების ყოფილი წევრი ტაუა ტოკაუა, რომელსაც ამჟამად ქვეყნის რაგბის კავშირში მოკრძალებული პოსტი უკავია. თუ 6 მარტის მატჩი მასპინძელთათვის არასასურველი შედეგით დასრულდა, ლამის ყველაფერი ამ პატიოსან კაცს დაბრალდება — კარგად ვერ შეგისწავლია მეტოქეო. ბორჯღალოსანთა დასამარცხებლად ტონგელებს სამხრეთ-აფრიკელი მწვრთნელებისა და თავიანთი ლეგიონერებისა ეიმედებათ. მწვრთნელების ამბავი გარკვეულია. ისინი აგერ უკვე ერთი თვეა, ტონგაში არიან და იქ მყოფ მობურთალთ წვრთნიან. აი, რაც შეეხებათ ლეგიონერებს, ამ მხრივ მასპინძლებს ჯერაც ვერ აქვთ აწყობილი საქმე. ამისთანა რა დაპირისპირებაა ქვეყნის უმაღლესი სპორტული საბჭოს ხელმძღვანელებსა და ლეგიონერებს შორის, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ამის გამო მათ მსოფლიო თასის შესარჩევ ეტაპზე ნაკრებში თამაში იუარეს და როგორც ჩანს, საქართველოსთანაც იმავეს მოიმოქმედებენ. ხუთი მათგანი — ფიფიტა მოუნგა, ოლო ფიფიტა, ალატინი საულალა, ტომასი ტაკაუ და ვაეა ანიტონი — შეერთებული შტატების ნაკრებში გადის წვრთნას და მომავალში ამ გუნდის სახელით იბურთავებს. ჯერჯერობით ნაკრებში თამაშის სურვილი იაპონიაში მოასპარეზე სამმა ტონგელმა გამოთქვა.

პაატა თოთაძე

ჯონ ელსის გარეშე დარჩენილ ავსტრალიელებს მსოფლიო თასის მოგება წარმოუდგენლად მიაჩნიათ

ელსს ბედი არ ჰქონია

RUGBY SUPER 12

ისე მოხდა დღეს სულ დაშავებულ მობურთალებზე ვსაუბრობთ. ახლა ავსტრალიელი „ვოლაბების“ კაპიტან — ჯონ ელსზე გვინდა ვთქვათ. ქართველ მორაგბეთა ნაკრების ხელმძღვანელებისგან განსხვავებით, რომლებიც ადვილად პოულობენ დაშავებული მოთამაშეების შემცვლელებს, „ვოლაბების“ თავკაცებმა ჯონ ელსის მაგიერი ჯერაც ვერ მოძებნეს. მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მორაგბემ შაბათს ვარჯიშზე მხარი დაიზიანა და ოპერაცია სჭირდება. ტრავმამ ზე—12-ის გარდა ელსს შესაძლოა მსოფლიო თასიც გამოატოვებინოს. 28 წლის მობურთალს მხარი ადრეც აწუხებდა — 1992 წელს უელსელებთან მატჩის მეორე ტაიმში შესაცვლელი შეიქნა.

„ვოლაბთა“ მთავარი მწვრთნელი როდ მაკქვინი ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა, იგი ხომ ნაკრების თამაშს ელსზე აგებდა: „ახლა მსოფლიო თასის მოგება ერთიორად გაგვიძნელდება. შეიძლება ითქვას, ეს შეუძლებელიც კია, თუმცა მჯერა საშემოდგომოდ ჯონი გამოჯანმრთელდება“.

ოპერაციას მორაგბეს მომავალ კვირას გაუკეთებენ ბრისბენში და ამის მერე გაირკვევა, შეძლებს თუ არა იგი მსოფლიო თასზე თამაშს. თავად მორაგბეს ამის იმედი არა აქვს: „ძალიან სამწუხაროა, მაინდამაინც ახლა რომ დავშავდი. დარწმუნებული ვიყავი, გუნდთან ერთად მსოფლიო თასს მოვიგებდი, მაგრამ ახლა ისიც არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა საერთოდ. ყოველ შემთხვევაში მსოფლიო თასს, ალბათ, უნდა გამოვეშვიდობო“.

პაატა თოთაძე

კლასიფიცირებული დომხალი

ჩოგბურთში საკლასიფიკაციო სისტემა აგერ უკვე 25 წელია, არსებობს, მაგრამ მისი მოქმედების პრინციპი მარტო გულშემატკივრებისთვის კი არა, თავად მოთამაშეებისთვისაც არ არის ბოლომდე გასაგები.

რატომ იმყოფებიან შესაბამისად პირველ და მეექვსე ადგილზე პიტ სამპრასი და მარსელო რიოსი, როდესაც წლეულს თითო-ოროლა მატჩი აქვთ ჩატარებული? რატომ ვერ შეუღწევიათ საუკეთესო ათეულში ტოდ მარტინს, ტომას ენკვისტს, ტომი ჰაასს, წლეულს შესანიშნავად რომ ასპარეზობენ?

ყველაფრის გამოთვლა იოლი მართლაც არ არის. სრული სურათის წარმოსადგენად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოთამაშის კლასიფიკაციას სამი თანაბარმნიშვნელოვანი ფაქტორი განსაზღვრავს. პირველი — ჩოგბურთელი იმატებს ქულებს ტურნირებისგან, რომლებშიც მონაწილეობს, ეგრეთ წოდებული სატურნირო ქულები. მეორე — ჩოგბურთელს ემატება ქულები თითოეული მეტოქის დამარცხებისთვის, ეგრეთ წოდებული საბონუსო ქულები. მესამე — კლასიფიკაციაში გათვალისწინებული იქნება მხოლოდ 14 საუკეთესო შედეგი გასული 52 კვირის განმავლობაში.

პიტ სამპრასს ტურნირებისაგან დასვენება შეიძლება ძვირად დაუჯდეს: რუსი ევგენი კაფელნიკოვი კლასიფიკაციაში პირველობას ეცილება

სატურნირო ქულები

სატურნირო ქულათა რაოდენობა, რასაც ჩოგბურთელი მოცემულ პირველობაზე მოიპოვებს, დამოკიდებულია ტურნირის კლასიფიკაციაზე, მის საპრიზო ფონდზე და რა თქმა უნდა, იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად ასპარეზებს თავად მოთამაშე.

მნიშვნელობის მიხედვით ტურნირები შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

ჩელენჯერები (100)

მსოფლიოს სერიის ტურნირები (250)

ჩემპიონატის სერიის ტურნირები (320)

მერსედეს სუპერ 9-ის ტურნირები (400)

დიდი სლემის ტურნირები (760)

ფრჩხილებში მითითებულია ქულათა მაქსიმალური რაოდენობა, რაც ჩოგბურთელმა შეიძლება მოიპოვოს მოცემული კატეგორიის ტურნირის მოგებისთვის. ეს კი იცვლება მისი საპრიზო ფონდისა და შემადგენლობის მიხედვით. მაგალითად, მოსკოვის ჩემპიონთა სერიის ტურნირის მოგებულს 230 ქულა ერგება, ლონდონისას — 260, ყველაზე დაბალი კლასიფიკაციის ჩელენჯერი კი მხოლოდ 60 ქულას იძლევა.

სატურნირო ქულათა რაოდენობა იზრდება მომდევნო წრეებში გასვლასთან ერთად. მაგალითად, თუ პირველ წრეში გავარდნილს როტერდამში მხოლოდ 1 ქულა ერგებოდა, მეოთხედფინალისტს — 105, ფინალისტს — 183.

საბონუსო ქულები

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ჩოგბურთელის კლასიფიკაციისთვის ბონუსებს, რომლებიც მოთამაშეს დამარცხებული მეტოქის კლასიფიკაციის შესაბამისად ერიცხება.

ქულები ასეა განაწილებული:

მსოფლიოს პირველი ჩოგნის დამარცხება მატებს 50 ქულას.

№2-5 მატებს 45 ქულას

№6-10 მატებს 36 ქულას

№11-20 მატებს 24 ქულას

№21-30 მატებს 18 ქულას

№31-50 მატებს 12 ქულას

№51-75 მატებს 6 ქულას

№76-100 მატებს 3 ქულას

№101-150 მატებს 2 ქულას

№151-200 მატებს 1 ქულას

ჩოგბურთელს, რომელიც მეტოქის გამოუცხადებლობის გამო მოიგებს მატჩს, საბონუსო ქულები არ ემატება. მეორე მხრივ, პირველივე გათამაშების შემდეგ, იმ შემთხვევაშიც კი თუ მეტოქე ტრავმას მიიღებს, ქულები მაინც ირიცხება. ბონუსები ორმაგდება, თუ მატჩი ორი სეტის კი არა, სამი სეტის მოგებამდეა, რაც ჩვეულებრივ მხოლოდ დიდი სლემის ტურნირებზე, ან დიდი პირველობების ფინალებში ხდება.

იმ ჩოგბურთელებისთვის, რომლებიც ფინალებსა თუ ნახევარფინალებში ასპარეზობით განებივრებული არ არიან, საუკეთესო ათეულების დამარცხებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მათთვის დამატებითი სტიმულიცაა. ეს ხომ პრესტიჟის გარდა ქულების საქმეცაა.

ამრიგად, მოცემულ ტურნირზე ჩოგბურთელის მიერ მოპოვებული ქულების რაოდენობა ორივე ფაქტორის გათვალისწინებით უნდა გამოითვალოს. მაგალითად, როტერდამში გამარჯვებისთვის გასულ კვირაში ევგენი კაფელნიკოვის 260 სატურნირო ქულას პირველ წრეში კლასიფიკაციით 71-ე რაინერ შუტლერის დამარცხებისთვის 6, მეორე წრეში ჰიშამ არაზის (49-ე) — 12, მეოთხედფინალში როჯერ ფედერერის (178-ე) — 1, ნახევარფინალში გრეგ რუზეცკის (მე-9) — 36, ფინალში კი ტიმ ჰენმანის (მე-7) ძლევისთვის საბონუსო 36 ქულა დაემატა. ესე იგი, სულ 351 ქულა დაუგროვდა.

14 საუკეთესო შედეგი

მოცემული ორშაბათისათვის ჩოგბურთელის კლასიფიკაცია ითვალისწინებს მის მიერ წინა 52 კვირის, ესე იგი, ერთი წლის მანძილზე ნაჩვენებ 14 საუკეთესო შედეგს. ეს იმას ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში ვინმემ 30 ტურნირზე რომ ითამაშოს და 30-ვე მოიგოს, ამათგან მაინც მხოლოდ 14 ყველაზე უხვქულიან სატურნირო შედეგს აარჩევენ.

იმავე ფაქტორიდან გამომდინარეობს ტერმინი „ქულების დაცვაც“. რაკი ტურნირზე წარმატებული ასპარეზობიდან ერთი წლის შემდეგ ამ შედეგს უკვე აღარ გაითვალისწინებენ, ჩოგბურთელმა იმავე ტურნირზე მომდევნო წელს მეტს ან ამდენივეს მაინც უნდა მიაღწიოს, რომ წინა სეზონში მოპოვებული ქულები არ დაკარგოს.

სამპრასი თუ კაფელნიკოვი?

ახლა კი კლასიფიკაციაში ამ დროისათვის შექმნილ მდგომარეობასაც შეიძლება გადავხედოთ: პირველ ადგილზე მყოფ პიტ სამპრასს 3695 (2960 სატურნირო +735 საბონუსო) ქულა აქვს, მეორე ადგილოსან ევგენი კაფელნიკოვს — 3637 (2835+802).

შარშან თებერვლის ბოლო კვირაში სამპრასს ფილადელფიის ტურნირის მოგებისთვის 292 ქულა აქვს ანგარიშზე, კაფელნიკოვს ლონდონში გამარჯვებისთვის — 332, რაც მომდევნო ორშაბათიდან ორივეს გამოაკლდება.

რადგან ამერიკელი ამ კვირაში არსად ასპარეზობს, ორშაბათიდან მას ამ დროისათვის მე-15 საუკეთესო შედეგი — ინდიან უელსური 46 ქულა დაემატება და ნებისმიერ შემთხვევაში 3449 გაუხდება.

ამავე პრინციპიდან გამომდინარე, კაფელნიკოვს ამჟამად, ფაქტობრივად, 3305 ქულა აქვს. მაგრამ სამპრასისგან განსხვავებით იგი ამ კვირაში ასპარეზობს და თუ თავის აქტივს ლონდონში 145 ქულასაც დაუმატებს, შეუძლია ამერიკელს გაუსწროს კიდეც.

კლასიფიკაციაში ლიდერობისთვის ლონდონის ტურნირზე სოჭელ ჟენიას ნახევარფინალში გასვლაც შეიძლება ეყოს (რისთვისაც 105 სატურნირო ქულას მიიღებს), ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მეოთხედფინალში მეშვიდედ განთესილი ტომას იოჰანსონის დამარცხებით 24 საბონუსო ქულასაც დაიმატებს. მაგრამ თუ შვედი პირველ-მეორე წრეში გავარდება, კაფელნიკოვს პირველობას ფინალი გაუნაღდებს.

იმედია, საკლასიფიკაციო დომხალში ოდნავ მაინც გაერკვიეთ. აი, რაც შეეხებათ ქალებს, ისინი 14-ის ნაცვლად 18 საუკეთესო შედეგს ითვალისწინებენ.

ისე, 2000 წლიდან ATP საკვალიფიკაციო სისტემის მნიშვნელოვნად გამარტივებას — ათვლის სეზონის დაწყებიდან წარმოებას აპირებს.

ავთანდილ სვანიძე



ევგენი კაფელნიკოვი

რედ ბულ — ზაუბერ-პეტრონასი

ჟან ალეზი
საფრანგეთი
დაიბადა 1964 წლის 11 ივნისს ავინიონში (საფრანგეთი)
ცხოვრობს ნიონში (შვეიცარია)
ჰყავს მეგობარი ქალი და ორი ქალიშვილი
1987 წლის საფრანგეთის ჩემპიონი ფორმულა 3-ში
1989 წლის ფორმულა 3000-ის ჩემპიონი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1989, საფრანგეთის დიდი პრიზი („ტირელი")
151 რბოლა, 1 გამარჯვება, 2 პოული, 4 სწრაფი წრე, 234 ქულა.

გუნდის შეფი
პიტერ ზაუბერი
ტექნიკური დირექტორი
ლეო რისი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1993, სამხრეთ აფრიკის დიდი პრიზი
98 რბოლა, 79 ქულა
შასი: ზაუბერ C-18
ძრავა: ზაუბერ-პეტრონას V-10-03A
საბურავები: „ბრიჯსტოუნი"



პედრო-პაულო დინიცი
ბრაზილია
დაიბადა 1970 წლის 22 მაისს სან პაულუში (ბრაზილია)
ცხოვრობს მონაკოში, უცოლო
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1996, ავსტრალიის დიდი პრიზი („ფორტი")
66 რბოლა, 7 ქულა

ბოლიდი ჟან ალეზისთვის

აღმოსავლეთ აზიას თავსდამტყდარმა ეკონომიკურმა კრიზისმა გარკვეულწილად შვეიცარიული გუნდიც დააზარალა. მისი ერთ-ერთი მთავარი სპონსორი, მალაიზიური ნავთობის კომპანია „პეტრონასი", მართალია, ფეხზე მყარად დგას, მაგრამ მთავრობის მოთხოვნით იძულებული შეიქნა, შემოსავლის ნაწილი თავისი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას მოახმაროს. ამის გამო კვლავ გადაიდო საგანგებოდ „ზაუბერისთვის" განკუთვნილი ძრავას დამზადება და გუნდი კვლავ „ფერარისგან" შეძენილ და გუნდის მოტორისტ ოსამო გოტოს მიერ მოდიფიცირებულ შარშანდელ ძრავებს უნდა დასჯერდეს, რასაც გუნდის ბიუჯეტის თითქმის ერთი მესამედი დასჭირდება. ეს ძრავები საკმაოდ საიმედო და მძლავრია, მათი შემწეობით შარშან შუმიმ რამდენიმე გამარჯვებაც მოიპოვა, რაც მეტად აიმედებს გუნდის ხელმძღვანელობას.

ახალი შასი შარშანდელის ევოლუციას წარმოადგენს. ლეო რისის თქმით, გაუმჯობესდა დეტალები, რომლებიც ამას მოითხოვდა. შეიცვალა უკანა ზამბარების განლაგება, მართვის სისტემა. ახალი ძრავას უფრო დაბლა მოთავსებამ და მისი უფრო მაღალ ტემპერატურაზე მუშაობის უნარმა კონსტრუქტორებს საშუალება მისცა, დაედაბლებინათ ძრავას საფარი, შეემცირებინათ რადიატორების ზომები, ამან კი თავის მხრივ აეროდინამიკა გაუმჯობესა. ბოლიდზე დამონტაჟებულია ახალი, 7-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი. საერთოდ, ეს მოდელი გუნდის პირველი პილოტის, ჟან ალეზის მოთხოვნების გათვალისწინებითაა აგებული. ეს კი ხელს შეუწყობს გამოცდილ ფრანგ პილოტს, შარშანდელზე უკეთ იასპარეზოს.

გუნდის მეორე პილოტად მიწვეულია ბრაზილიელი დინიცი, რომელსაც აქამდე თავი დიდად არ გამოუჩენია, მაგრამ მისი სპონსორის, „პარმალატის" ბრაზილიური ფილიალის მიერ „შემოწირული" თანხა აშკარად წაადგება შვეიცარიელთა ბიუჯეტს.

მიუხედავად იმისა, რომ შასიც და ძრავაც შარშანდელზე უკეთესია და ახალი მოდელი ჟან ალეზის მართვის სტილს მოერგო, წლეულს გუნდის მიერ რაიმე სერიოზული წარმატების მიღწევა მოსალოდნელი არ არის, თუმც კი ქულებისთვის ბრძოლაში თავის ტოლ-სწორებს კონკურენციას გაუწევს.

ალეკო ჯაგუკიანი



ჟან ალეზი, პედრო-პაულო დინიცი და პიტერ ზაუბერი ახალ ბოლიდთან კოპწიაობენ

ოლიმპიური სიახლენი
რა თქმა უნდა, ქრთამსა და საეჭვო გარიგებებზე

პარლამენტარს აალოკინეს

ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჯონ კოუტის ამასწინანდელი როყიო განცხადების ამბავი გეცოდინებათ: აქაოდა, 5 წლის წინ სოკ-ის კენიელ და უგანდელ წევრებს ჩემი ცოდვილი პირით 50-50 ათასს შევპირდი, ოღონდაც პეკინის ნაცვლად ხმები სიდნეისთვის მიეცათო. მაშინდელი კენჭისყრა სიდნეიმ მხოლოდ 2 ხმით მოიგო და ახლა მთელ საოლიმპო მილეთსაც ლოგიკურად ეეჭვება, რომ ეს 2 ხმა სწორედ იმ კენიელ და უგანდელ ჯენტლებს ეკუთვნოდათ.

გუშინ მისტერ კოუტის სახელი პრესის ფურცლებზე კიდევ ერთხელ წამოტივტივდა. ამჯერადაც ფრიად საეჭვო გარიგებასთან დაკავშირებით. გარიგება 2 წლის წინ ავსტრალიის ოკ-ისა და სიდნეის ოლიმპიადის ორგანიზატორებს შორის შემდგარა. კოუტს ოლიმპიადის შემოსავლებიდან აოკ-ისთვის მისაცემ თანხებზე უარი განუცხადებია, ორგანიზატორთა ფინანსურ საქმეებში ჩარევისგანაც თავის შეკავება აღუთქვამს, სანაცვლოდ კი 63-მილიონიანი გარანტია მოუღია.

კოუტის ზედმეტი აქტიურობით შეწუხებულ სოკ-ს — სპონსორთა ფრიადი გაჭინჭყლების ფონზე — ამგვარი გარიგების ძალაში დატოვება მიზანშეუწონლად მიუჩნევია და აოკ-ს ხსენებულ თანხაზე უარის თქმისკენ მოუწოდა. „ფული უკანვე თამაშებში უნდა ჩაბრუნდეს" — განაცხადა სოკ-ის სამარკეტინგო განყოფილების დირექტორმა, მაიკლ პეინმა. მაგრამ მის განცხადებას არც კოუტმა და არც „სიდნეი 2000"-ის ორგანიზატორებმა ყური არ ათხოვეს. „ყველაფერი ისე დარჩება, როგორც აქამდე იყო" — უპასუხიათ ავსტრალიელებს.

თუმცა სიდნეისთან დაკავშირებული ოლიმპიური ამბები მხოლოდ ზემოხსენებულით არ ამოიწურება. გუშინ იქაურ სცენაზე კიდევ ერთი საინტერესო ფიგურა, ახალი სამხრეთ უელსის ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და ამჟამინდელი პარლამენტარი ბრიუს ბერდი გამოჩნდა. პარლამენტარმა ბერდმა ორი მნიშვნელოვანი განცხადების გაკეთება მოასწრო და გარდა იმისა, რომ ბევრ ადამიანს აუშალა ნერვები, საკუთარ რეპუტაციასაც გვარიანად ავნო.

ბერდმა დილა იმით დაიწყო, რომ ქვეყნის მასმედიის ყველაზე პატივსაცემ წარმომადგენლებს 9 წლის წინანდელ, კიდევ ერთ საეჭვო მოლაპარაკებაში მონაწილეობა „შეტენა". მისი თქმით, ბობოლა მედიელებმა მასთან მოწყობილი შეხვედრისას „სიდნეი 2000"-ის საინიციატივო ჯგუფის ნებისმიერ ხიმანკლობაზე თვალის დახუჭვა აღუთქვეს. ამ განცხადებას, ბუნებრივია, უმალვე მძაფრი რეაქცია მოჰყვა. მედიამაგნატებმა, რომელთა შორისაც ქვეყნის უმდიდრესი ადამიანი, ყველაზე ავტორიტეტული ტელეარხის მფლობელი, კერი პეკერი და რუპერტ მერდოქის „ნიუს კორპორეიტედის" გამოცდილი გენერალი კენ კოულიც ერივნენ, ხმა ერთი მეორის მიყოლებით ამოიღეს და ბერდს კაცური ცეცხლი შეუნთეს. „მთელი მაგის ნალაპარაკევი აბსოლუტური ნეხვია" — აი, დაახლოებით ასეთი იყო საპრეტესტო გამოსვლების დედააზრი. გამომსვლელთა სიმრავლემ, ეტყობა, საკუთარ სიმცდარეში თავად პარლამენტარიც დაარწმუნა. ნაშუადღევს ბრიუს ბერდი კიდევ ერთხელ გამოვიდა ტრიბუნადე და „აბსოლუტური ნეხვი" აბსოლუტური სიმშვიდით ალოკა.

სანდოა სამარანჩის ჭალარა?

სოკ-ის მამებმა სიდნეიში ჩასვლა და იქაური აწეწილი საქმეების მოგვარება მარტის ბოლოსთვის დათქვეს. ამას ორი მიზეზი ჰქონია. ერთი ის, რომ იქაურ „უზნეობათა კომიტეტს" სიდნეი 2000-ის ამბების ჩხრეკა ჯერ არ დაუმთავრებია და ამას, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ 10 მარტისთვის შეძლებს. მეორეცაა და, 17-18-ში ლოზანაში სოკ-ის რიგგარეშე თავშეყრა უნდა გაიმართოს. თავშეყრაზე სოლტ ლეიკის საქრთამო სკანდალში გახვეულ 5 წევრს შეაჩვენებენ, ხოლო „დანარჩენებს სამუდამოდ წაართმევენ ქრთამის აღების სურვილს". გარდა ამისა, ბაბუა სამარანჩს, ავჯანყებულ სპონსორთა მოთხოვნისამებრ, საინიციატივო პროცედურის შეცვლასა და მისადმი ნდობა-არნდობის საკითხზე მსჯელობაც განუზრახავს.

მექრთამე პოლიტიკაში შეძვრა

სოლტ ლეიკ-2002-ის სამექრთამეო სკანდალმა უკვე ბევრი დიდმოხელე ოლიმპიელი შეიწირა. უკანასკნელი მსხვერპლი, რომელმაც გატეხილი სახელითა სარულს სამთავრობო ვოლგის გარეშე სიარული არჩია, ჩილეს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი სერხიო სანტანდერი აღმოჩნდა. სენიორ სანტანდერმა მის ძველ დოსტ, სოკ-ის გენმდივან კრისტიან როდრიგესს მიჰბაძა და ორგანიზაციას გადადგომის წერილით მიმართა. ამასთან დაკავშირებით სოკ-ში გული არავის დაწყვეტია — სანტანდერს ისევე შეელევნენ, როგორც გამოსარწყავად მომწიფებულ მუწუას.

სხვა ცუდ რამეთა შორის, ჩილეში იმასაც ჰყვებოდნენ, რომ სოლტ ლეიკ-2002-ის საინიციატივო ჯგუფიდან ქრთამად შემოსული ფული სანტანდერმა ჩილეს კონგრესის ქვედა პალატაში შესაძრომად გამოიყენა, ხოლო როდრიგესი ამ ამბის მენეჯერი ყოფილა.

ლევან კელაურაძე

თავადთა ყრილობა ლინარესში

დაუფასდა გარჯა ლუის რენტეროს. ესპანელი ბიზნესმენის ფულისა და მარიფათის წყალობით პატარა ანდალუზიური ქალაქი ლინარესი ყოველ წლის დამდეგს მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ, XX კატეგორიის საჭადრაკო ტურნირს მასპინძლობს, ხოლო ბოლო ორი წელია, მისი პრესტიჟი საერთოდ გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ახლა ლინარესში ვერ გაიჭაჭანებს ისეთი მოჭადრაკე, რეიტინგ-ლისტში თუნდაც ათეულს მიღმა რომ იმყოფება, იქ თამაშის უფლება მხოლოდ უმაღლესი საჭადრაკო არისტოკრატიის ხვედრია. წლეულს, მაგალითად, ტურნირზე 8 კაცი მიიწვიეს: ერთი „მეფე" (კასპაროვი) და შვიდი „ჰერცოგი" (ანანდი, კრამნიკი, ივანჩუკი, ტოპალოვი, სვიდლერი, ადამსი და ლეკო). ყოველი მათგანი თითოეულ მეტოქესთან 2-2 პარტიას ითამაშებს, რაც ჯამში 14 ტურს იძლევა. პირველი 2 ტური უკვე შედგა და მათ, მოლოდინისამებრ, ერთობ დაძაბულად ჩაიარეს. ყველაზე დიდ ინტერესს, რასაკვირველია, კასპაროვის თამაში იწვევს და მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს ჩემპიონიც თავის საქმეს ჯერჯერობით რიგიანად უძღვება. პირველ ტურში სვიდლერთან ყაიმის შემდეგ კასპაროვმა ლინარესის ტურნირის სამგზის გამარჯვებული, უკრაინელი ივანჩუკი დაამარცხა და ინგლისელ ადამსთან ერთად 1,5 ქულით ლიდერობს. მესამე ტურში კასპაროვი ანანდს ხვდება და ეს პარტია არათუ ტურის, არამედ ტურნირის ერთ-ერთ ცენტრალურ პარტიად უნდა მივიჩნიოთ. ჯერ ყველაფერი წინაა...

დავით გულუა



REUTERS რამსაუდან

სტეფანია ბელმონდოს მეორე ოქრო

ტომას ალსგარდს (მარჯვნივ) გამარჯვება პირველმა მიკა მულულამ მიულოცა

ფინელთა ტუზი მოჯოკრეს

RAMSAU/DACHSTEIN Nordic Ski World-Championships 99

სპრინტის ანალიზმა აჩვენა, რომ კონკრეტულ ტრასაზე და კონკრეტულ ამინდში სწრაფი სტარტი წამგებიანი გამოდგა. კილომეტრნახევარზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა ბიორნ დელის, მეორე და მესამე მონაკვეთებზე ოლიმპიური ჩემპიონი მხოლოდ მერვე იყო და საბოლოოდ 26 წამი წააგო გამარჯვებულთან. შედარებით კარგად დაიწყო მეორე ნორვეგიელმა ალსგარდმაც, თუმცა ისიც საკმაოდ უხეირო მეთხუთმეტე ადგილს დასჯერდა. პირველ კილომეტრნახევარზე მხოლოდ მეოთხე იყო ფინელი მულულა, ავსტრიელი სტადლობერი კი სულაც 24-ე. მიკა მულულამ გაიმარჯვა, ვერცხლი კი სტადლობერს ხვდა წილად.

გუშინდელი გამოდევნებით რბოლის წინ ნორვეგიელებს გვარიანი თავსამტვრევი გაუჩნდათ. თავის ტკივილის მიზეზი ახლა უკვე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მიკა მულულა და მისი ნეიტრალიზება იყო. მულულა პირველი გადიოდა სტარტიდან, დელი 21 წამის შემდეგ, ალსგარდი (ყველაზე სწრაფი ნორვეგიელთა შორის), კიდევ უფრო გვიან. ის, რაც ნორვეგიელთა მწვრთნელებმა ჩაიფიქრეს, რბოლის დასასრულსღა გაირკვა.

სულ ორიოდე კილომეტრი დასჭირდა ბიორნ დელის 26 წამიანი განსხვავების მოსასპობად. ცხადია, ამ სიტუაციაში ვეტერანს შეეძლო კვალში ჩადგომოდა ფინელს, სული მოეთქვა და ფინიშზეღა ეცადა ბედი. მაგრამ მოხდა ერთი შეხედვით უცნაური რამ — დაღლილი ნორვეგიელი წინ გადის და მე-13 კილომეტრამდე ინარჩუნებს მაქსიმალურ ტემპს. რაღა თქმა უნდა, მულულა იძულებულია მიჰყვეს ოლიმპიურ ჩემპიონს. და, მხოლოდ მაშინ, როცა ტომას ალსგარდმა მე-15 პოზიციიდან თანდათან გადაინაცვლა მესამეზე, თვითონ ფინელი მწვრთნელებიცა და მათგან ინფორმირებული მულულაც მიხვდნენ რა მოხალულ ნიგვზიანი ხაფანგიც დაუგეს მეტოქეებმა. მიხვედრით კი მიხვდნენ, მაგრამ გვიანღა იყო. ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე ალსგარდი დაეწია ლიდერებს. ერთხანს დელიც მათ კამპანიაში აგრძელებდა რბოლას, მერე კი ვალმოხდილი ნელ-ნელა ჩამორჩა და საბოლოოდ მეექვსე მივიდა ფინიშთან. ალსგარდისა და მულულას ორთაბრძოლა კი უფრო კატა-თაგვობანას თამაშს დაემსგავსა. თუ რომელი იყო მათ შორის კატა, ბოლო ორმოცდაათმა მეტრმა აჩვენა — ფინელთა კოზირის ტუზმა ვერ გაუძლო დაძაბულობას და ნორვეგიელთა ჯოკერის ქვეშ აღმოჩნდა.

ირაკლი ბერიაშვილი

რამსაუ. ავსტრია. მსოფლიოს ჩემპიონატი. სათხილამურო კროსი (გამოდევნებით)

	15 კმ. კაცები	
1	ტომას ალსგარდი (ნორვეგია)	1:05:54.9
2	მიკა მულულა (ფინეთი)	1:05:55.6
3	ფულვიო ვალბუსა (იტალია)	1:06:17.6
4	იარი ისომეტსა (ფინეთი)	1:06:18.5
5	ააკ მაე (ესტონეთი)	1:06:19.0
	10 კმ. ქალები	
1	სტეფანია ბელმონდო (იტალია)	42:27.9
2	ნინა გავრილიუკი (რუსეთი)	42:56.8
3	ირინა ტარანენკო-ტერელია (უკრაინა)	43:02.3
4	ანფისა რეზცოვა (რუსეთი)	43:07.6
5	ოლგა დანილოვა (რუსეთი)	43:14.6

მტერს გამოეკიდა მაიზნიცერი...

გერმანულ გარმიშ-პარტენკირხენის მთებში მოსულმა ბრაზილიელმა არა და არ მისცა საშუალება სამთომოთხილამურეებს მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე ესპარეზათ. ჰოდა, იქ ტყუილად ლოდინს აზრი აღარ ჰქონდა და, ყველამ, კაციან-ქალიანად, შვედეთის სამთო კურორტ, არეს მიაშურა. ავსტრიელი ალექსანდრა მაიზნიცერი რომ მსოფლიოს თასის ლიდერია, ძველი ამბავია, ალბათ ისიც გეხსომებათ, ახლახან კოლორადოს მსოფლიოს ჩემპიონატზე სუპერგიგანტსა და გიგანტურ სლალომში ოქროს მედლები რომ ირგუნა.

მაიზნიცერმა შვედეთშიც დიდი ნაბიჯი გადადგა მსოფლიოს თასისკენ, გიგანტურ სლალომში გამარჯვების მერე სხვათგან მიუწვდომელი გახდა.

ალექსანდრა, თურმე ავსტრიის პოლიციის აკადემიის კურსანტია, სპორტული კარიერის დასრულების მერე თხილამურების ნაცვლად იარაღს აისხამს და იქაურ კრიმინალებს გასაქანს არ მისცემს, მაგრამ ვიდრე ავსტრიელი ქალბატონი ახალ ცხოვრებას დაიწყებდეს, მანამდე მთებში საუცხოო სრიალითაც გაითქვა სახელი და, როგორც ზემოთ გითხარით, მსოფლიოს თასის მოპოვებამდე აღარაფერი უკლია.

შვედურ არეში მაიზნიცერმა საუკეთესო დრო 2:12.97 წუთი აჩვენა და კარიერაში მსოფლიოს თასის მეათე ეტაპი მოიგო, აქედან ხუთჯერ ალექსანდრას სწორედ გიგანტურ სლალომში უმარჯვია. მეორე ასევე ავსტრიელი ანიტა ვახტერი (2:13.62) იყო, მესამე — ნორვეგიელი ანდრიან ფლემენი (2:14.80).

საერთო ჩათვლაში მაიზნიცერმა 1430 ქულა დააგროვა და უახლოეს მდევარს, გერმანელ ჰილდე გერგს 450 ქულით უსწრებს.

სოსო კოტორეიშვილი

REUTERS არედან

ალექსანდრა მაიზნიცერი

დიადი გრეცკი ტირის და მიდის

REUTERS კალგარიდან

ნიუიორკელი ფორვარდი ჯონ მაკლინი (შუაში) კალგარელთა დაცვამ დაიფრინა

ორშაბათს კალგარის „სედლდოუმში“ დაუჯერებელი რამ ხდებოდა. მასპინძელთა რეინჯერსთან მატჩის ბოლო წუთები იწურებოდა, თამაშის ბედიც გადაწყვეტილი იყო, „სედლდოუმის“ 16500 მაყურებელი კი არა და არ ცხრებოდა.

„გრეცკი, გრეცკი!“ — ზანზარებდა სტადიონი. ასე გამოხატეს კალგარელმა ქომაგებმა თავიანთი დიდი სიყვარული „დიადისადმი“, ისინი მოითხოვდნენ მის 1072-ე გოლს, რაც გრეცკის პროფესიული ჰოკეის ლიდერად აქცევდა — გორდი ჰოუს ჩამოატოვებინებდა.

22 თებერვალი

კალგარი — რეინჯერსი 6:2

2:0 2:1 2:1

1:0 ფლერი 2'47 (30); 2:0 ბურე 5'09 (13); 3:0 ჰაუსლი 30'07 (6); 3:1 სტივენსი 32'37 (15); 4:1 სტილმანი 32'50 (16); 5:1 სტილმანი 45'00 (17); 6:1 ჰაუსლი 46'15 (7); 6:2 მალჰოტრა 55'39 (6).

სასწაული არ მოხდა. უკვე 12 წელიწადია, ნიუიორკელებს „სედლდოუმში“ არ უხეირიათ, ვერც „დიადმა“ შეძლო ამ უსიამოვნო ტრადიციის დარღვევა (მხოლოდ ერთი პასი მიითვალა), მასპინძლები ხომ „All-Star game“-ის შემდეგ ჩინებულად თამაშობენ (+6=5-1). ისინი ამჯერადაც გაცილებით სჯობდნენ მეტოქეს. კვლავ გამოირჩეოდა ტეო ფლერი (1+1 და 7 ქულა 3 თამაშში), მობერებული ვეტერანი ფილ ჰაუსლიც ძველებურად ირჯებოდა (2 გოლი), ხოლო მესამე პერიოდში უმცირესობაში მოთამაშე კალგარელებმა ორი წუთის განმავლობაში არ გამოუშვეს მეტოქე საკუთარი ზონიდან და 4 დარტყმა ერთ გოლად აქციეს.

და მაინც, თამაშის შემდეგ მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო, თუმც ძნელად დასაჯერებელი... მაყურებელთა საოცარმა მიღებამ ისე აუჩუყა გრეცკის გული, რომ ემოციები ვეღარ დაფარა და პირველად ამცნო საზოგადოებას თავისი გადაწყვეტილება კარიერის დასრულების შესახებ:

— კარიერის განმავლობაში აქამდე მხოლოდ ორჯერ ვერ შევიკავე ცრემლი — 1981 წლის კანადის თასზე (ფინალში სსრკ-ს ნაკრებთან 1:8 მარცხის შემდეგ) და ნაგანოს ოლიმპიადაზე (ნახევარფინალში ჩეხებთან წაგებისას). დღესაც იგივე დამემართა. ასეთ მიღებას რა დამავიწყებს. ვფიქრობ, არავისთვისაა საიდუმლო, რომ ამ შენობაში უკანასკნელად ვთამაშობ...

ტამპა — ნიუ ჯერსი 2:3

1:1 1:2 0:0

0:1 როლსტონი 17'10 (16); 1:1 ლეკავალიე 18'54 (10); 2:1 ლეკავალიე 22'20 (11); 2:2 ოდელეინი 34'29 (4); 2:3 როლსტონი 35'06 (17)

მარცხს მიჩვეულ ტამპელ ქომაგთ ისღა დარჩენიათ, ვუნდერკინდ ვენსან ლეკავალიეს დიდოსტატად ჩამოყალიბების პროცესსღა ადევნონ თვალ-ყური. მის მომავალზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ 18 წლის ჭაბუკი ასაკის კვალობაზე საკმაოდ გააზრებულად და შედეგიანად ასპარეზობს. ორშაბათს კი „ელვების“ იმედმა კარიერაში პირველად შეასრულა დუბლი.

პიტსბურგი — ფინიქსი 4:1

1:0 2:1 1:0

1:0 მორანი 6'03 (3); 2:0 ბარნსი 27'25 (18); 3:0 მოროზოვი 29'15 (8); 3:1 ტკაჩუკი 38'28 (21); 4:1 ბარნსი 56'23 (19)

ფინიქსელთა დაცვა თავის თავს აღარ ჰგავს. სეზონის დასაწყისში მასთან გრანდებსაც კი უჭირდათ ორ შაიბაზე მეტის გატანა, ახლა კი... ზედიზედ წაგებულ 5 თამაშში მათ 25 შაიბა გაუშვეს. ისეთი მაღალი კლასის მეკარე როგორიც ნიკოლაი ხაბიბულინია, მოედნის შუადან ალექსეი მოროზოვის მიერ დარტყმულ შაიბას არ უნდა უშვებდეს.

ვაშინგტონი — ტორონტო 4:3

1:2 1:0 2:1

1:0 კონოვალჩუკი 7'27 (12); 1:1 ვოლკი 12'39 (6); 1:2 კონი 14'18 (1); 2:2 ოუთსი 33'55 (10); 3:2 იგლსი 46'03 (3); 4:2 ბლეკი 48'48 (8); 4:3 ჯონსონი 53'18 (17)

მასპინძლებმა კარგად იციან, რომ ტორონტოსთან ოვერტაიმში თამაში ხელს არ აძლევ („ნეკერჩხლის ფოთლებმა“ 10 ოვერტაიმიდან 5 მოიგეს და ერთიც არ წაუგიათ) და ადამ ოუთსის (1+1) ძალისხმევით მესამე პერიოდში გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი 5:1

1:0 3:0 1:1

1:0 დემიტრა 5'23 (26); 2:0 კონროი 31'20 (9); 3:0 ტარჯონი 32'22 (21); 4:0 დემეტრა 37'15 (27); 5:0 რივერსი 54'48 (1); 5:1 შტუმპელი 56'09 (10)

სენტლუისელმა პავოლ დემიტრამ 4 (2+2) ქულა მიითვალა.

სამგელ ღარიბიანი

თავი გაგვანებე, დირკ!

REUTERS ჩიკაგოდან

ლორნი მოლეკენი

დირკ გრეჰემმა მხოლოდ 59 თამაშში უხელმძღვანელა ჩიკაგოს. წარსულში ცნობილმა ჰოკეისტმა მთავარი მწვრთნელობის პირველი სეზონი აშკარად ჩაფლავა და ამჟამად შარშანდელზე უარეს დღეში მყოფ ჩიკაგოს მესვეურთა მოთმინების ფიალაც აივსო. ორშაბათს გრეჰემი დაითხოვეს, „ქორების“ თავკაცობა კი დროებით მის ასისტენტს ლორნი მოლეკენს დაევალა. ამ უკანასკნელის ბველ ადგილს 33 წლის ტრენტ იონი დაიკავებს, რომელიც სეზონის დასაწყისში ჯერ კიდევ თამაშობდა, მაგრამ ერთ-ერთ შეხვედრაში ხელი მოიტეხა და ასპარეზობას გამოაკლდა.

სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი

ოტავა	56	32	8	16	164:118	72
ტორონტო	57	32	4	21	184:172	68
ბუფალო	57	27	11	19	156:124	65
ბოსტონი	56	23	9	24	142:132	55
მონრეალი	59	23	8	28	139:154	54

ატლანტა

ფილადელფია	57	30	13	14	178:122	73
ნიუ ჯერსი	59	32	7	20	174:150	71
პიტსბურგი	56	31	7	18	177:151	69
რეინჯერსი	58	23	7	28	160:165	53
აილენდერსი	59	18	7	34	139:178	43

წყნარი ოკეანე

დალასი	54	36	9	10	159:107	79
ფინიქსი	57	29	10	18	146:128	68
ანაჰაიმი	58	24	9	25	155:147	57
სან ხოსე	58	20	13	25	133:136	53
ლოს ანჯელესი	58	21	5	32	135:158	47

სამხრეთ-აღმოსავლეთი

კაროლინა	59	27	10	22	156:149	64
ფლორიდა	57	21	15	21	142:147	57
ვაშინგტონი	57	24	5	28	145:150	53
ტამპა	58	12	5	41	119:210	29

ცენტრი

დეტროიტი	59	31	5	23	175:147	67
სენტ ლუისი	56	23	10	23	157:145	56
ნეშვილი	57	20	6	31	135:185	46
ჩიკაგო	59	16	8	35	131:190	40

ჩრდილო-დასავლეთი

კოლორადო	57	29	7	21	154:139	65
ედმონტონი	57	22	8	27	155:149	52
კალგარი	58	21	9	28	151:168	51
ვანკუვერი	57	18	7	32	142:182	43

გოლბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 87 (27%68); ლინდროსი 81 (34%47); ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 77 (37%40); კარია 73 (25%48); სელიანე (ორივე — ანაჰაიმი) 71 (31%40); ფლერი (კალგარი) 67 (30%37); იაშინი (ოტავა) 65 (27%38); ფორსბერგი 64 (16%48); საკიკი (ორივე კოლორადო) 62 (28%34); დემიტრა (სენტ ლუისი) 61 (27%34); მოდანო (დალასი) 59 (20%39); სუნდინი (ტორონტო) 59 (19%40); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 58 (30%28); სტრაკა (პიტსბურგი) 58 (25%33)



REUTERS სკოტრანიდან

ქარაფშუტობის წინააღმდეგ

ცამეტ მარტს „მედისონ სკვერ გარდენში“ მძიმე წონის ტიტულთა გამაერთიანებელი ჩხუბი რომ გაიმართება, ცნობილი ამბავია. ევანდერ ჰოლიფილდი თავის ორ ქამარს ჩამოდის, ბრიტანელი ლენოქს ლუისი კი ერთს. ბრძოლის შემდეგ სამივე ქამარი ერთ-ერთი მათგანის ხელში გადავა. ჰოლიფილდი მშობლიურ ჰიუსტონში ვარჯიშობს, ბრიტანელს კი პენსილვანიის პატარა ქალაქ სკოტრანში გაუხსნია სანვრთნელი ბანაკი. სკოტრანის „სიზარზ ბრუკდეილ რიზორთის“ კომპლექსში გადაღებულ ამ ფოტოზე ლენოქს ლუისს კუნთებს უღვიძებს მაწრთობი მწვრთნელი კორტნი შენდი. უკან კი დგას ლუისის ლეგენდარული მწვრთნელი იმანუილ სტიუარდი, მრავალი ჩემპიონის გამზრდელი კაცი, რომელმაც მოახლოებული ბრძოლის გამო თქვა: „თუ ლენოქსი წააგებს, მას მორიგ ქარაფშუტა ბრიტანელად ჩათვლიან. ჩვენ ვცდილობთ, რომ ლენოქსი ქარაფშუტად არ ჩათვალონ“.

REUTERS ტორონტოდან

ტორონტოში წარსულზე ოცნებობენ

20 თებერვალს ახალი ერა დაიწყო ტორონტოს ისტორიაში. „ნეკერჩხლის ფოთლები“ 67 წლის განმავლობაში ერთგული სამსახურისთვის გულთბილად გამოეშვიდობნენ „MAPLE LEAF GARDEN“-ს და ახალ „AIR CANADA CENTRE“-ში გადაბარგდნენ.

სიმბოლურია, რომ ახალ სარბიელზე პირველ თამაშში ტორონტო თავის ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ მეტოქეს, დიდი ტრადიციების მქონე მონრეალს შეეჯახა და აუარებელი მაყურებლის გასახარად კიდეც გაიმარჯვა. მანამდე ერთი დღით ადრე კი ტორონტოელები ქალაქის ცენტრში შეიკრიბნენ და სადღესასწაულო სვლა მოაწყვეს.

„ნეკერჩხლის ფოთლების“ ყველაზე შთამბეჭდავი გამარჯვებების 12 სტენლის თასის მოგების აღსანიშნავ და ოდესღაც ძველ არენაზე მოფრიალე დროშებს წინ დაფდაფები უძღოდა. ეს რელიკვიები ამიერიდან „ცენტრს“ დაამშვენებს. ახალ თაობას არ უნახავს ტორონტოს ტრიუმფები ბოლოს გუნდი თასს 1967 წელს დაეუფლა. ისტორია გაგრძელებას ითხოვს.

ტონიას დაბრუნება

თავისი სპორტული კარიერა ამერიკელმა ფიგურულად მოსრიალე ქალმა ტონია ჰარდინგმა 4 წლის წინ კონკურენტ ნენსი ქერიგანისათვის საქმროს მიგზავნით დაასრულა. საქმრომ ნენსის შუხლი გადაუმტვრია, ხოლო სასამართლომ, რომელმაც ამ ამბის შესახებ იმსჯელა, ტონიას ჯერ ვირის აბანო გამოუწერა, მერე კი სიცოცხლის ბოლომდე ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა აუკრძალა.

ტონია ჯერ მხოლოდ 28 წლისა. როგორც თავად ამბობს, ონავრობა და უცნაური მალაყების შესრულება ახლაც დიდებულად ხელეწიფება. მაგრამ რად გინდა ერთადერთი რაშიც მას თავისი ნიჭის ასპროცენტიანი დაბანდება შეუძლია, ბავშვებისათვის გამოცდილების გაზიარება და გასართობ პროგრამებში მონაწილეობაა. ჰოდა, ტონიასაც ბევრი უფიქრია, თუ ცოტა უფიქრია, ისევ სასრიალეთზე დაბრუნება გადაუწყვეტია. ასე რომ, მომავალი ოთხშაბათიდან თუკი პორტლენდელი ბრძანდებით და ყინულზე სრიალის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოგიდგენიათ, ნუ დაიზარებთ და მის ჰარდინგს მიაკითხეთ. სხვა რომ არა იყოს რა, იგი აშშ-ს 1991 წლის ჩემპიონია და ერთხელ ფეხი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლისთვისაც გამოუკრავს.



REUTERS ბევერლი ჰილზიდან

ვინც შენზე ცუდი დაწეროს...

დენის როდმანმა ბევერლი ჰილზის (კალიფორნია) ერთ პრესტიჟულ სახინკლეში მორიგი პრესკონფერენცია მოაწყო. ამ ამბავს პრესკონფერენცია მხოლოდ ერქვა, თორემ ისე ნაღდი მასხარაობა გამოდგა. 37 წლის დიადმა მომხსნელმა და მეფარემ, რომელიც ჟურნალისტებს თავის ახალ მეუღლე, მსახიობ კარმენ ელექტრასა და ღვიძლ დასთან დებორასთან (ფოტოზე მარცხნივ) ერთად წარუდგა, თავიდან „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან“ კონტრაქტის შესაძლო გაფორმებაზე ისაუბრა. აქაოდა, იმედი მაქვს, საბუთებს დღესვე მოვაწერთ ხელს და უკვე ხუთშაბათიდან მოედანზე გამოვჩნდებიო. როცა ერთმა ჟურნალისტმა მიკიბმოკიბულის ნაცვლად უფრო გარკვევით და ნათლად საუბარი მოსთხოვა, დენისი გაფიცხდა და „ბიჭო, აქ ჯდომა თუ არ გინდა, დაახვიეო“, ეგრე თქვა. მერე კი, როცა მეორემ „ეგოისტი მოთამაშე“ უწოდა, ცხარე ცრემლებით ატირდა და „თქვენი გადამკიდე, კალათბურთის თამაში აღარც მინდა და წესიერად, ალბათ, ვეღარც ვერასოდეს ვითამაშებო“, დაიჩივლა. სულ ბოლოს კი, როცა კარმენის ცხვირსახოცით თვალები ამოიშრო, დენისს სევდიანად უთქვამს: „როგორც ვეტერანს, 1 მილიონი მეკუთვნის, მე ამათ 450 ათასზე დავთანხმდი, და თქვენ კიდევ მე მერჩითო“. გულაჩუყებულ ჟურნალისტებსაც ბიჭისთვის მაგრად დაუყვავებიათ და — აწი შენზე ცუდი ვინც დაწეროს, კალამი ძირში გადაუტყდესო — შეპირებიან.

ემა და ფრენკი



REUTERS სიდნეიდან

ემა გვარად ჯორჯია, ეროვნების გრაფით — ავსტრალიელი, მონოდებით — ჭოკით მხტომელი, ხოლო სტატუსით — მსოფლიო რეკორდსმენი. რეკორდს ემა ლაზათიანად და ძალდაუტანებლად ამყარებს — როცა იგი ხტება, თვით თამასაც კი ერთ ადგილზე ჩერდება და ქალს ბედნიერად დაშვების საშუალებას აძლევს. ასეთი რამ სიდნეის ჭერქვეშა ტურნირზე ამ დღეებშიც მოხდა. ემამ შარშან ბრისბენში დამყარებულ თავისსავე 4,59-მეტრიან რეკორდს შეუტია და ჭოკი ისე მარდად უმარჯვა, რომ 4,60 მეტრზე შემოდებულ თამასასაც გადაეკლო. „ძალიან ვნერვიულობდი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ზაფხულის მერე 4,40-ს აღარ გადავცილებულვარ, მეორე იმიტომ, რომ ტურნირი უსუსურად დავიწყე, მესამე იმიტომ, რომ სახტომი იქითა კვირაშიც ბევრი მაქვს...“, — ასეთი ლაქლაქი ზრდასრულ ადამიანს ალბათ, მხოლოდ რეკორდის დამყარებისას ეპატიება.

ახლა კი ფრენკი. ნამიბიელ მალემსრბოლ ფრენკი ფრედერიკსს, 100 და 200 მეტრზე მსოფლიოს და ოლიმპიურ ვერცხლოსანს, ვინძლო, იცნობდეთ კიდეც. ფრენკი უსნრაფესთა ლეგიონს განეკუთვნება და ეს სიდნეის ზოლებიან ტრასაზეც დაადასტურა. 100 მეტრი მან დიდოსტატურ 9,94 წამში დაფარა და მომავალ თვეში იაპონიაში გასამართი ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატის წინაც ანგარიშგასაწევი განაცხადი გააკეთა.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29